



association pour la prévention de la torture
asociación para la prevención de la tortura
association for the prevention of torture



ქალები თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში:
გზამკვლევი გენდერ-სენსიტიური მონიტორინგისათვის



სარჩევი

I შესავალი	5
II რატომ უნდა შეისწავლონ მოცემული საკითხი მონიტორინგზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა?	8
III ცნებები.....	9
1. გენდერი და გენდერული მეინსტრიმინგი”	9
2. ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაცია და ძალადობა	10
IV რისკ ფაქტორები და რისკების შემცირებაზე მიმართული ზომები.....	12
1. გარკვეული კონტექსტები, რომლებიც რისკის მომატებას უწყობს ხელს.....	12
ა. საზოგადოებრივი კონტექსტი.....	12
ბ. საკანონმდებლო კონტექსტი.....	13
2. გარკვეული პერიოდები, რომელთა განმავლობაში რისკი მატულობს.....	14
ა. პოლიციის მიერ დაკავება და პატიმრობა.....	14
ბ. გადაყვანა.....	15
3. გარკვეული პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც რისკის მომატებას უწყობს ხელს ან ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას იწვევს.....	10
ა. საპატიმრო ადგილებში პირების მიღების პროცესში არაადექვატური დაცვის და შეფასების მექანიზმები	16
ბ. სამედიცინო შემოწმებების ხასიათი და მოცულობა.....	17
გ. ქალი და მამაკაცი პატიმრების განცალკევებით განთავსების პრინციპის დარღვევა	19
დ. ზედამხედველობა მამაკაცი პერსონალის მიერ/გენდერული თვალსაზრისით შერეული პერსონალი.....	20
ე. ჩხრევის პოლიტიკა და პრაქტიკა.....	21
ვ. სამართლო საკნები/დისციპლინური სეგრეგაცია.....	23
ზ. შემაკავებელი საშუალებების არათანაბარზომიერი და გაუმართლებელი გამოყენება.....	25
თ. გენდერული საჭიროებების გაუთვალისწინებლობა ჰიგიენური საშუალებებით მომარაგების პროცესში და სქესობრივი, რეპროდუქციული ჯანდაცვის თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებები.....	26
ი. ოჯახთან კონტაქტის არასათანადო უზრუნველყოფა	28
კ. არასათანადო გადაწყვეტილებები საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი დედებისა და დამოკიდებული შვილების დაცალკევებასთან დაკავშირებით	29
ლ. დაპატიმრება დაცვის მიზნით.....	30
4. ქალთა გარკვეული კატეგორიები, რომლებიც უფრო მაღალ რისკს ექვემდებარებიან.....	32
ა. გოგონები	32
ბ. ტრეფიკინგის მსხვერპლები და სექს მუშაკები	33
გ. ქალები, რომლებიც ფსიქიატრიულ მკურნალობას საჭიროებენ.....	35
დ. სხვა ჯგუფები, რომლებიც უფრო მაღალ რისკს ექვემდებარებიან.....	35
V. რა შესაძლებლობები უნდა გააჩნდეთ მონიტორინგის ორგანოებს, რათა ამ საკითხების დარეგულირებას შეუწყონ ხელი	35
რეკომენდებული ლიტერატურა.....	36

ქალები თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში: გზამკვლევი გენდერ–სენსიტიური მონიტორინგისათვის

Penal Reform International-ი და წამების პრევენციის ასოციაცია მადლობას უხდის ტომრის ატაბეის მოცემული ნაშრომის მომზადებისათვის.

წინამდებარე ნაშრომი მომზადდა Penal Reform International-ის პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაცაა *”ინსტიტუციური გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დსთ-ს 9 ქვეყანაში წამების აღმოფხვრის მიზნით”*. მოცემული ნაშრომის მომზადების პროცესში Penal Reform International-ი თანამშრომლობდა წამების პრევენციის ასოციაციასთან და იგი გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული ინსტრუმენტის (EIDHR) ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე Penal Reform International-ი არის პასუხისმგებელი და იგი არ უნდა აღიქმებოდეს როგორც ევროკავშირის ან გაერთიანებული სამეფოს მთავრობის პოზიციისა და შეხედულებების გამომხატველი პუბლიკაცია.

ნებადართულია მოცემული პუბლიკაციის მიმოხილვა, ციტირება, მისი მთლიანი ან ნაწილობრივი რეპროდუცირება ან თარგმნა. დაუშვებელია მოცემული პუბლიკაციის რეპროდუცირება და გავრცელება კომერციული მიზნებით. წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილება წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული Penal Reform International-თან. დოკუმენტის გამოცემის და გავრცელების შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს, რომ იგი Penal Reform International-ის მხარდაჭერით მომზადდა. ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით უნდა მიემართოს: publications@penalreform.org

თავფურცელზე განთავსებული ილუსტრაციის ავტორია ჯონ ბიშოპი. ილუსტრაციები იარა კასემის ნამუშევრებზე დაყრდნობითაა მომზადებული.

Penal Reform International
60–62 Commercial Street
London E1 6LT
United Kingdom
ტელეფონი: +44 (0) 20 7247 6515
ელ.ფოსტა: publications@penalreform.org
www.penalreform.org

Association for the Prevention of Torture
PO Box 137
CH-1211 Geneva 19
Switzerland
ტელეფონი: +41 (22) 919 21 70
ელ. ფოსტა: apt@apt.ch
www.apt.ch

ISBN 978-1-909521-03-2

© Penal Reform International 2013

Penal Reform International (PRI) წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს რეფორმირების საკითხებზე. ორგანიზაციის მიზანია მართლმსაჯულების ადმინისტრირების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება და მათი დამკვიდრების ხელშეწყობა, თავისუფლების აღკვეთაზე მიმართული სანქციების გაუმართლებლად ხშირი გამოყენების აღმოფხვრა და ალტერნატიული სანქციების გამოყენებისა და სამართალდამრღვევების საზოგადოებასთან რეინტეგრაციის ხელშეწყობა დაზარალებული მხარეების ინტერესების გათვალისწინების პარალელურად. PRI ასევე მუშაობს წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის საკითხებზე, აგრეთვე ხელს უწყობს სამართალდამრღვევი ქალებისა და არასრულწლოვანი პირების მიმართ თანაბარზომიერი ზომების გატარებას და მათი ინტერესების სათანადოდ გათვალისწინებას და სიკვდილით დასჯის გაუქმებას. PRI რეგიონულ პროგრამებს ახორციელებს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და სამხრეთ კავკასიაში. ორგანიზაციას საკონსულტაციო სტატუსი გააჩნია გაეროს საბჭოში ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე (ECOSOC) და ევროსაბჭოში, ასევე დამკვირვებლის სტატუსი გააჩნია ადამიანის უფლებების დაცვის აფრიკის კომისიაში და საპარლამენტაშორისო კავშირში.

ჩვენი ყოველთვიური საინფორმაციო გამოცემის მისაღებად დარეგისტრირდით შემდეგ მისამართზე: www.penalreform.org/keep-informed

I. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი განკუთვნილია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გარე მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოებისთვის. მასში განხილულია წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკები, რომლებსაც თავისუფლებააღკვეთილი ქალები შეიძლება დაექვემდებარონ და ის ღონისძიებები, რომელთაც შეიძლება შეამცირონ ეს რისკები. დოკუმენტი ძირითადად ყურადღებას სისხლის სამართლის სისტემაში თავისუფლებააღკვეთილი ქალების მდგომარეობზე ამახვილებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ იგი ასევე აქტუალურია თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, მაგალითად ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და საიმისგრაციო სამსახურების დაკავების ცენტრებში მყოფი ქალების მდგომარეობასთან მიმართებაშიც.

წინამდებარე დოკუმენტი მხოლოდ ქალების პრობლემატიკაზე ამახვილებს ყურადღებას. მასში არ არის განხილული ის რისკები, რომლის წინაშეც თავისუფლებააღკვეთილი მამაკაცები შეიძლება დადგნენ გენდერული ძალადობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით თუ ისინი ისეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელიც სოციალურად მისაღებ გენდერულ როლს არ ერგება, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.¹ წინამდებარე დოკუმენტში არ არის განხილული ის განსაკუთრებული რისკები, რომელსაც თავისუფლებააღკვეთილი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (LGBT) ადამიანები ექვემდებარებიან, რადგანაც მოცემული თემა ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს. დოკუმენტში ასევე არ არის განხილული ის რისკები, რომლებსაც ქალები საზოგადოებაში ცხოვრების პროცესში, ანუ თავისუფლების პირობებში აწყდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ხაზგასმულია კავშირების არსებობა უფრო ფართო საზოგადოებრივ კონტექსტსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებულ დამოკიდებულებებსა და მდგომარეობას შორის, რადგანაც ამ ორ სფეროს შორის საკმაოდ რთული ურთიერთქმედება არსებობს. ვიმედოვნებთ, რომ მოცემული დოკუმენტი წვლილს შეიტანს ამ პრობლემებისადმი ჰოლისტიკური მიდგომების შემუშავებაში.

გაეროს წესების მიღება ქალი პატიმრებისადმი მოპყრობის სტანდარტული წესებისა და სამართალდამრღვევი ქალებისადმი არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ („ბანგოკის წესები“)² მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემაში ქალების გამოკვეთილი გენდერ-სპეციფიური საჭიროებების აღიარებისა და ქალთა არასათანადო მოპყრობისა და წამების რისკზე რეაგირების მიზნით დაცვის მექანიზმების შემუშავებისათვის. „ბანგოკის წესები“ წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს მონიტორინგის ორგანოებისათვის მათ მიერ თავისუფლებააღკვეთილ ქალებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განხორციელებისათვის.³ მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებელთათვის განკუთვნილი დაკავების ცენტრები და საიმისგრაციო სამსახურების სხვა მსგავსი დაწესებულებები არ არის მოცული „ბანგოკის წესებით“, ამ წესების უმეტესობა ამ დაწესებულებებისთვისაცაა რელევანტური. მაგალითად, UNHCR-ის გაიდლაინებში კონკრეტული დებულებებია ასახული თავშესაფრის მაძიებელი ქალებისათვის,

¹ იხილეთ CAT-ს ზოგადი კომენტარები No. 2, CAT/C/GC/2, 2008 წლის 24 იანვარი, პარაგრაფი. 22

² მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2010 წლის 21 დეკემბერს, A/RES/65/229

3 SPT-მ არაერთგზის გააკეთა მითითება „ბანგოკის წესებზე“ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიმოხილვის ანგარიშებში და რეკომენდაციები მიაწოდა შესაბამის სახელმწიფოებს დაენერგათ დამცავი მექანიზმები და უზრუნველყოთ, საპყრობილებებში არსებული მდგომარეობისა და პატიმრობის პირობების შესაბამისობა „ბანგოკის წესების“ მოთხოვნებთან. მაგალითად, იხილეთ CAT-ს ანგარიში შრი ლანკაში არსებული მდგომარეობის თაობაზე, 2011 წლის 8 დეკემბერი, CAT/C/LKA/CO, პარაგრაფი 14; CAT-ის ანგარიში ბელორუსიაში არსებული მდგომარეობის თაობაზე, 2011 წლის 7 დეკემბერი, 2011, CAT/C/BLR/C/O/4, პარაგრაფი 20

რომლებიც დაკავებულები არიან საიმიგრაციო ცენტრებში და ეს წესები ასევე შეიცავს მითითებას „ბანგკოკის წესებზე“.⁴

მონიტორინგის ორგანოებს, საკუთარი ფუნქციების შესრულების პროცესში, „ბანგკოკის წესებით“ ხელმძღვანელობისას კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ის რისკები, რომელთაც პატიმარი ქალები ექვემდებარებიან⁵, ხშირად საზოგადოებაში გაბატონებული უარყოფითი დამოკიდებულებებით და დისკრიმინაციული პრაქტიკითაა განპირობებული. როგორც აღნიშნულია „დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული განახლებული სამოდელო სტრატეგიებისა და პრაქტიკული ღონისძიებების“ შესახებ დოკუმენტის პრეამბულაში: „ქალების წინააღმდეგ ძალადობას ხშირად სოციალური ღირებულებები, კულტურული მოდელები და პრაქტიკა განაპირობებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მართლმსაჯულების სისტემა არ არის თავისუფალი ასეთი ღირებულებებისაგან და ხშირად ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა არ აღიქმება ისეთ სერიოზულ პრობლემად, როგორც სხვა სახის ძალადობა.....“⁶

ამგვარად, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალების მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის მაღალი რისკის პრობლემა არ შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ამ დაწესებულებებზე ყურადღების გამახვილებით. საპატიმროებში ქალების მოწყვლადობის, დაუცველობის ძირეული მიზეზები ხშირად საპყრობილეების კედლებს გარეთ არსებობს, თუმცა ქალთა დაუცველობის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

გარდა იმისა, რომ ქალები გენდერულ საფუძველზე ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის რისკის ქვეშ არიან, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათი გენდერ-სპეციფიური საჭიროებები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული (განსაკუთრებით ჯანდაცვასთან დაკავშირებული საჭიროებები). ხშირად სწორედ თავისუფლების აღკვეთის პირობებში ხდება ამ მხრივ ქალების მდგომარეობის დამძიმება (მაგ. როდესაც ქალი საპყრობილეში ხვდება, მისი ოჯახი მასზე უარს ამბობს, რადგანაც ქალების პატიმრობასთან დაკავშირებით სტიგმა მაღალია). ამ მხრივ გასათვალისწინებელი კიდევ ერთი საკითხია პატიმარი ქალების ბავშვები, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქალები არიან ბავშვების ძირითადი, ხოლო ხშირად ერთადერთი მზრუნველი და შესაბამისად, ამ ბავშვებს შეიძლება უდიდესი ზიანი მიადგეთ როგორც იმ შემთხვევაში, თუ მათ პატიმარ დედას დაამორებენ, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი დედასთან ერთად საპყრობილეში იქნებიან მოთავსებული. შესაბამისად, აუცილებელია ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესებით ხელმძღვანელობა და იმ ქალების მიმართ პატიმრობის ალტერნატიული ზომების შეფარდება, რომლებიც ბავშვს ელოდებიან ან მათზე დამოკიდებული ბავშვები ჰყავთ, რაც „ბანგკოკის წესების“ ერთერთ მოთხოვნას წარმოადგენს.

კონკრეტულ გარემოებებში ქალების გენდერული საჭიროებების გაუთვალისწინებლობა შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა. გაეროს წამების,

⁴ UNHCR, თავშესაფრის მაძიებლების დაკავების პირობებთან დაკავშირებული სტანდარტები და კრიტერიუმები და დაკავების ალტერნატივები (2012), სახელმძღვანელო დირექტივები 9.3, გვ. 37. <http://www.unhcr.org/505b10ee9.html>

⁵ იქ, სადაც სიტყვა „საპყრობილეა“ ნახსენები ყველა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება იგულისხმება, მათ შორის დროებითი მოთავსების იზოლატორები, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები.

⁶ A/RES/65/228, დანართი, პარაგრაფი 3

არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტმა (SPT) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ”პრევენციული მუშაობის მასშტაბი თავისი ხასიათით ფართო მოცულობისაა და მოიცავს თავისუფლებაზეზღუდული პირების უფლებების შელახვის ნებისმიერ ფორმას, რომელიც კონტროლს მიღმა შეიძლება წამებაში და სასტიკ ან არაადამიანურ მოპყრობაში ან დასჯაში გადაიზარდოს”.⁷ SPT-ის რეკომენდაციების შესაბამისად ასეთი ფართო მიდგომა ეროვნული პრევენციული მექანიზმების მუშაობაშიც უნდა იყოს ასახული (NPM).⁸ ეროვნული პრევენციული მექანიზმების მანდატი მოითხოვს, რომ მათ რეგულარულად შეამოწმონ თავისუფლებაზეზღუდული პირებისადმი მოპყრობა წამების და სხვა სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯისაგან დაცვის გაძლიერების მიზნით. პრევენციის ეროვნული მექანიზმების უფლებამოსილება ითვალისწინებს შესაბამისი უწყებებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას თავისუფლებააღკვეთილი პირებისადმი მოპყრობისა და პატიმრობის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და ასევე გაეროს შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით რეკომენდაციების მომზადებას წამების, სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტების პრევენციის მიზნით; ასევე წინადადებებისა და დასკვნების მომზადებას შესაბამის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.⁹ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლების ვიზიტები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საშუალებას აძლევს ამ მექანიზმების წარმომადგენლებს პირველწყაროდან მიიღონ ინფორმაცია ამ დაწესებულებებში არსებული ვითარების თაობაზე, მაგრამ ეს ჰოლისტიკური პრევენციული სტრატეგიის მხოლოდ პირველი ნაბიჯია. იმისთვის, რომ ვითარების მდგრადი გაუმჯობესება იქნას მიღწეული, ეროვნულმა პრევენციული მექანიზმები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული გამოწვევების შესწავლით, არამედ ამ მდგომარეობის განმაპირობებელი მიზეზები უნდა გამოავლინონ.¹⁰

მოცემული დოკუმენტის მიზანია დახმარება გაუწიოს მონიტორინგზე პასუხისმგებელ ყველა ორგანოს, განსაკუთრებით ეროვნულ პრევენციულ მექანიზმებს, გენდერული საკითხების სათანადოდ გათვალისწინებაში და ყურადღების გამახვილებაში იმ კონკრეტული რისკების გამოკვეთით, რომლებსაც ქალები ექვემდებარებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში წამებისა და არასთანადო მოპყრობის თვალსაზრისით. დოკუმენტში ასევე ასახულია ის ზომები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალების წამებისა და არასთანადო მოპყრობის პრევენციაზეა მიმართული. მონიტორინგზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა მოცემული დოკუმენტი გენდერული საკითხების საკუთარ დღის წესრიგში ჩართვის მიზნით უნდა გამოიყენონ და იგი ასევე სახელმძღვანელო დოკუმენტად გამოადგებათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალების მდგომარეობასთან დაკავშირებული თემატური ანგარიშების მომზადების პროცესში.

⁷ SPT, პირველი წლიური ანგარიში, (2007 წლის თებერვალიდან 2008 წლის მარტამდე პერიოდი), CAT/C/40/2, 2008 წლის 14 მაისი, პარაგრაფი 12

⁸ გაეროს წამების პრევენციის ფაკულტატური ოქმის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო დირექტივები, განახლებული გამოცემა, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული ინსტიტუტი (IHR), წამების პრევენციის ასოციაცია (APT), (2010), გვ 28. http://www.apr.ch/content/files_res/OPCAT%20Manual%20English%20Revised2010.pdf

⁹ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT), მე-19 მუხლი.

¹⁰ OPCAT-ის განხორციელების სახელმძღვანელო დირექტივები, განახლებული გამოცემა, გვ 234

II რატომ უნდა შეისწავლონ მოცემული საკითხი მონიტორინგზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა?

არასათანადო მოპყრობისა და წამების განსაკუთრებულ რისკებს, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი ქალები ექვემდებარებიან, არასათანადო ყურადღება ეთმობა. ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენცია ძირითადად საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების სფეროებით შემოიფარგლება და ნაკლები ყურადღება ეთმობა თავისუფლებააღკვეთილი ქალების მიმართ გენდერულ საფუძველზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალებისადმი არასათანადო მოპყრობა შეშფოთებას იწვევს, სამწუხაროდ, მოცემული საკითხი არ არის საკმარისად განხილული და გამოკვლეული მისი გენდერული სპეციფიკის კონტექსტის გათვალისწინებით. წამების წინააღმდეგ კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარებში (No. 2) ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის ამსახველ ანგარიშებში არასაკმარისი ინფორმაციაა ასახული კონვენციის მოთხოვნების ქალებთან მიმართებაში შესრულების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის თაობაზე და აღნიშნა, რომ გენდერული ასპექტი წამების პრევენციის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.¹¹

მონიტორინგის ორგანოებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ამ ნაკლოვანების გამოსწორებაში და შესაბამისი ქვეყნების მთავრობების დარწმუნებაში, რომ ქალების პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გათვალისწინება მოხდეს. მონიტორინგის ორგანოებს ამის მიღწევა ქალების თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული რისკ ფაქტორების და დაცვის მექანიზმების შეფასების გზით შეუძლიათ, თუ ასეთი მექანიზმები არსებობს და მათ რეკომენდაციები უნდა შეიმუშაონ მთავრობისა და შესაბამისი სტრუქტურებისათვის, რომლებიც შესაბამისობაში იქნება „ბანგკოკის წესებთან“, რაც ქალების წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმ რისკების შეფასებისას, რომლის წინაშეც ქალები დგანან, აგრეთვე პრევენციული მუშაობის ჰოლისტიკური ბუნებიდან გამომდინარე, მონიტორინგის ორგანოები უნდა ცდილობდნენ არა მხოლოდ ფაქტების გამოვლენას, არამედ ამ პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზების იდენტიფიცირებას. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოვლენილი პრობლემები შესაძლოა გარეშე ფაქტორებით იყოს განპირობებული და შესაბამისად მონიტორინგის ორგანოებმა საკანონმდებლო ჩარჩო, სისხლის სამართალწარმოების სფეროში არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა უნდა შეისწავლონ.¹² წინამდებარე ნაშრომში ამ მიდგომის მაგალითებია მოყვანილი.

¹¹ CAT/C/GC/2, 2008 წლის 24 იანვარი, პარაგრაფი 22

¹² წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის განხორციელების სახელმძღვანელო დირექტივები, განახლებული გამოცემა, გვ 235

III ცნებები

1. გენდერი და „გენდერული მეინსტრიმინგი“

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) „გენდერს“ განსაზღვრავს როგორც სოციალურად განპირობებულ როლებს, ქცევას, აქტივობებს და მახასიათებლებს, რომლებიც კონკრეტულ საზოგადოებას მისაღებად მიაჩნია ქალებისა და მამაკაცებისათვის.¹³ ადამიანის სქესი ბიოლოგიური ფაქტია, რაც ნებისმიერ კულტურაშია აღიარებული, მაგრამ ის, თუ რას ნიშნავს ადამიანის სქესი საზოგადოებაში მის მიერ „ქალის“ ან „მამაკაცის“ როლის შესრულების კონტექსტში, შეიძლება სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვანაირად აღიქმებოდეს.¹⁴ სოციოლოგიური თვალსაზრისით „გენდერული როლი“ გულისხმობს იმ მახასიათებლებს და ქცევის მოდელებს, რომლებსაც სხვადასხვა კულტურა სხვადასხვა სქესის ადამიანებისთვის ადგენს.¹⁵

გენდერული უთანასწორობა ყველა საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი მეტნაკლები ხარისხით და ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ქალებს უფრო ნაკლები უფლებამოსილება გააჩნიათ, ვიდრე მამაკაცებს. ძალაუფლების ეს დისბალანსი კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა ისეთ საზოგადოებებში, სადაც ისეთი ფაქტორები, როგორცაა, რელიგიური ან კულტურული ნორმები, ქალებს დაკნინებულ სტატუსს ანიჭებს. ძალაუფლების ასეთი დისბალანსი და სოციალური თუ კულტურული დამოკიდებულება და მრწამსი ყველაზე უფრო მკვეთრად დახურულ გარემოში იჩენს თავს, რომელიც გარეშე საზოგადოების ანარეკლია.

ტერმინი „გენდერული მეინსტრიმინგი“ გაეროს პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში 1977 წელს გაჩნდა, როდესაც გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) შეთანხმებას მიაღწია, რომ „გენდერული კონტექსტის მეინსტრიმინგი (ასახვა) უნდა მოხდეს გაეროს ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში. საბჭო „გენდერულ მეინსტრიმინგს“ შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„გენდერული ასპექტების ინტეგრირება პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისა და გაანალიზების პროცესში გენდერული უთანასწორობის შემცირების ხელშეწყობის მიზნით.“¹⁶

„გენდერული მეინსტრიმინგის“ კონცეფცია უაღრესად მნიშვნელოვანია, როდესაც იგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროგრამებთან მიმართებაში გამოიყენება. ასეთ დახურულ გარემოში, სადაც სოციალური დამოკიდებულებები და ძალაუფლების სტრუქტურა უფრო ინტენსიურად იჩენს თავს, ქალების უფლებობა და ამის შეგრძნება კიდევ უფრო მძაფრდება. ამავდროულად, პარადოქსულია, რომ ქალების გენდერული საჭიროებები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კიდევ უფრო ნაკლებადაა აღიარებული ვიდრე საზოგადოებაში, რადგანაც ამ დაწესებულებებში მამაკაცები დომინირებენ და გენდერული სპეციფიკა და საჭიროებები, გარდა ბავშვის დაბადებასა და ორსულობასთან დაკავშირებული საჭიროებებისა, არ არის სათანადოდ აღიარებული და გაცნობიერებული.

¹³ <http://www.who.int/gender/whatisgender/en/>

¹⁴ ენ-მარი ნობელიუსი (2004 წლის 23 ივნისი), „რა განსხვავებაა სქესსა და გენდერს შორის?“. მონაშის უნივერსიტეტი, <http://www.med.monash.edu.au/gendermed/sexandgender.html>. ნანახი იქნა 2012 წლის 10 მაისს.

¹⁵ ენ-მარი ნობელიუსი (2004 წლის 23 ივნისი), „რა განსხვავებაა სქესსა და გენდერს შორის?“. მონაშის უნივერსიტეტი, <http://www.med.monash.edu.au/gendermed/sexandgender.html>. ნანახი იქნა 2012 წლის 10 მაისს.

¹⁶ E/1997/66, 1997 წლის 12 ივნისი

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გენდერული მენსტრინგის ხელშეწყობა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც საჭიროებს მიდგომების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შეცვლას არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, არამედ თავად საზოგადოებაში, რათა პოზიტიური ცვლილებების მდგრადობა იყოს უზრუნველყოფილი. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ კონკრეტული კანონების, წესების, პოლიტიკის, პროცედურებისა და პრაქტიკის შეცვლას დაუყოვნებელი პოზიტიური ცვლილებების მოტანა და ქალების წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვა შეუძლია.

2. ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაცია და ძალადობა

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) 1-ელ მუხლში ტერმინი "ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაცია" განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი განსხვავება, ექსკლუზია ან შეზღუდვა სქესობრივ ნიადაგზე, რომლის შედეგი ან მიზანია, ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის საფუძველზე, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამოქალაქო სფეროში არსებული უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების აღიარების, ამ უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა ან გაუქმება”.

დისკრიმინაციის ყველაზე ექსტრემალური ფორმა, რომელსაც ქალები ექვემდებარებიან გენდერულ საფუძველზე, არის "ძალადობა, რომელიც ქალის წინააღმდეგ არის მიმართული იმ საფუძველზე, რომ იგი ქალია, ან ის ძალადობა, რომელიც მასზე დისპროპორციულ ზეგავლენას ახდენს. ასეთ ძალადობას მიეკუთვნება ისეთი ძალადობა, ან ძალადობის ამ ფორმას დაქვემდებარების მუქარა, რომელიც ფიზიკურ, სულიერ ან სექსუალურ ზიანს და ტანჯვას აყენებს ქალს, ასევე იძულება, ან თავისუფლების აღკვეთა".¹⁷ გენდერულ საფუძველზე ძალადობა მისი ხასიათისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც წამება. გენდერულ საფუძველზე ძალადობის ყველაზე მწვავე ფორმაა გაუპატიურება.

ხშირად, ქალები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათგან დანაშაულის აღიარების უკანონო გზით მიღებისა და დაშინების, დამცირების ან დეჰუმანიზაციის მიზნით გაუპატიურებას ექვემდებარებიან, ხოლო ზოგჯერ კი ამ ძალადობის ჩამდენი უბრალოდ სარგებლობს იმ გარემოებით, რომ ქალი ასეთ პირობებში სრულიად დაუცველია. გაუპატიურება ხშირად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალის მიერ სექსუალური მომსახურების გაწევის ფორმას იღებს და პატიმარ ქალებს ასეთი მომსახურების გაწევა იმის სანაცვლოდ უწევთ, რომ მათი ელემენტარული ადამიანის უფლებები იყოს დაცული. გარდა ამისა, ხშირია ქალი პატიმრების მამაკაცი პატიმრების მიერ გაუპატიურება ციხის მცველების თანხმობით.

საყოველთაოდაა აღიარებული და მათ შორის წამების საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებლებმა არაერთგზის აღნიშნეს, რომ გაუპატიურება წამებას წარმოადგენს, როდესაც ეს სახელმწიფო მოხელეების წახალისებით ან ჩუმი თანხმობით ხდება.¹⁸ ყოფილი იუგოსლავიის წინააღმდეგ საქმის შემსწავლელმა საერთაშორისო სისხლის

¹⁷ CEDAW-ს ზოგადი რეკომენდაციები No. 19, პარაგრაფი 6

¹⁸ A/HRC/7/3, 2008 წლის 15 იანვარი, პარაგრაფი 34. ასევე იხილეთ *Prosecutor v. Zdravko Mucic aka "Pavo", Hazim Delic, Esad Landzo aka "Zenga", Zejnil Delalic (სასამართლოს გადაწყვეტილებები)*, IT-96-21-T, ყოფილი იუგოსლავიის წინააღმდეგ საქმის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ განხილვა, (ICTY), 1998 წლის 16 ნოემბერი, პარაგრაფები 480 – 493, სადაც დეტალურადაა განხილული გაუპატიურებასთან და წამებასთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი რეგიონული სტრუქტურები. იხილეთ: <http://www.unhcr.org/refworld/docid/41482bde4.htm> | [2012 წლის 1 ოქტომბერი]

სამართლის ტრიბუნალმა ასევე აღიარა, რომ გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები წამების სახით შეიძლება იყოს კვალიფიცირებული თუ ეს ქმედება და მასთან დაკავშირებული გარემოებები გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.¹⁹

ქალებს, რომლებიც გაუპატიურებულები იყვნენ, არა მხოლოდ ტრავმასთან გამკლავება, პოტენციურ ორსულობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა და სხვა სამედიცინო პრობლემებთან გადაწყვეტა უწევთ, რომლებიც ამ ძალადობრივმა ქმედებამ გამოიწვია, არამედ მათ ასევე სირცხვილთან და ბევრ საზოგადოებაში გაუპატიურებულ ქალებთან დაკავშირებულ დამატებით სტიგმასთან უწევთ შეჯახება. ასეთი სტიგმა განსაკუთრებით ისეთი საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ქალების მიმართ დისკრიმინაცია ძალიან მაღალია კულტურული, ტრადიციებისა და რელიგიური ნორმების ზეგავლენით. ბევრი ქალი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაუპატიურებული იქნა, ამ შემთხვევების შესახებ არ აცხადებს არა მხოლოდ ზემოხსენებული მიზეზების გამო, არამედ ასევე იმიტომაც, რომ ხელისუფლება არასათანადოდ რეაგირებს ან მათ ეშინათ შურისძიების.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალების წინააღმდეგ ძალადობა არა მხოლოდ გაუპატიურების ფორმით, არამედ მრავალი სხვა ფორმით შეიძლება იყოს გამოხატული. ასეთია გაუპატიურების მუქარა, შეხება, სექსუალური ხასიათის შეურაცხყოფები და დამცირება, მშობიარე ქალების მიმართ ან ქალწულობის დადგენის მიზნით შემოწმების პროცესში ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენება და სხვა. გარდა ამისა, სხვა ქმედებებიც შეიძლება იყოს კვალიფიცირებული როგორც არასათანადო მოპყრობა იმის გათვალისწინებით, თუ რა გარემოებებში, რატომ და რა სიხშირით განხორციელდა ეს ქმედებები. ასეთი პრაქტიკა ნაშრომის IV ნაწილშია განხილული.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალების მიმართ დისკრიმინაცია შეიძლება მრავალი სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, რაც შეიძლება გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციით იყოს გამოწვეული და ასევე იმ ფაქტით, რომ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ მსოფლიოში არსებულ ყველა პენიტენციურ სისტემაში. ქალები, საშუალოდ მთელი პატიმრების რაოდენობის 2-დან 9%-მდე შეადგენენ, რაც კიდევ უფრო დაუცველს ხდის მათ დისკრიმინაციის თვალსაზრისით.²⁰ შესაბამისად, ხშირად ქალების სპეციფიური საჭიროებები არ არის გათვალისწინებული პოლიტიკის ან პროგრამების შემუშავების პროცესში და ქალების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჭიროებები იგნორირებული რჩება. ქალებისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში შესაძლოა მეტი ყურადღება ეთმობა ქალების საჭიროებების გათვალისწინებას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ საპყრობილებში არსებული პრობლემები იმიტომაც გამოწვეული, რომ ხელმძღვანელობისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირების დონეზე არ მუშავდება ისეთი

¹⁹ იხილეთ საქმეები: *Prosecutor v. Zdravko Mucic aka "Pavo", Hazim Delic, Esad Landzo aka "Zenga", Zejnil Delalic (Trial Judgement)*, IT-96-21-T, ყოფილი იუგოსლავიის წინააღმდეგ საქმის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიერ განხილვა, (ICTY), 1998 წლის 16 ნოემბერი, პარაგრაფი 496. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წამების საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია გაუპატიურების კვალიფიცირების დროს არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ აქტის აღწერით როგორც სექსობრივი ორგანოს პენეტრაციის აქტით. იხილეთ იქვე პარაგრაფი 478. იხილეთ: <http://www.unhcr.org/refworld/docid/41482bde4.html> [2012 წლის 1 ოქტომბერი]; სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაული შეიძლება გაუპატიურების მუხლით იყოს კვალიფიცირებული საერთაშორისო სასამართლოს მიერ. ასეთ დანაშაულს მიეკუთვნება ორალური სექსი და ვაგინალური ან ანალური პენეტრაცია საგნების გამოყენებით ან მოძალადის სხეულის რომელიმე ნაწილის გამოყენებით. იხილეთ A/HRC/7/3, 2008 წლის 15 იანვარი, პარაგრაფი 35

²⁰ UNODC, ქალების თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე ციხის პერსონალისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო დირექტივები, 2008, გვ 2.

სტრატეგიები და პროგრამები, რომლებიც ქალების სპეციფიკურ საჭიროებებზე იქნებოდა ორიენტირებული. გარდა ამისა, დაწესებულებები, სადაც მხოლოდ ქალები იხდიან სასჯელს, ხშირად მათი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებითაა განთავსებული ქალთა მცირერიცხოვნობის გამო. შესაბამისად, ქალთა ერთერთი უმთავრესი საჭიროება, რომ ოჯახთან კავშირები შეინარჩუნოს, არ არის უზრუნველყოფილი.

დისკრიმინაცია გენდერ-სპეციფიური პროგრამებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და ოჯახის წევრებთან კონტაქტების შეუძლებლობა ყოველთვის არ წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას, მაგრამ გარკვეული გარემოებების არსებობის პირობებში მან შეიძლება არასათანადო მოპყრობის სახე მიიღოს.

IV რისკ ფაქტორები და რისკების შემცირებაზე მიმართული ზომები

გარკვეულ კონტექსტებში და პერიოდებში ქალები უფრო მაღალ რისკს ექვემდებარებიან, რაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული პოლიტიკით, პრაქტიკით და პირობებითა განპირობებული. გარდა ამისა, ქალების გარკვეული კატეგორიები ხშირად უფრო დაუცველები არიან რისკების წინაშე. ქვემოთ განხილულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ქალებს გარკვეულ რისკებს უქმნით.

1. გარკვეული კონტექსტები, რომლებიც რისკის მომატებას უწყობს ხელს

ა. საზოგადოებრივი კონტექსტი

უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გაუსვათ, რომ საზოგადოებაში არსებული ღირებულებები და მიდგომები აისახება თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე, ვინაიდან ისინი წარმოადგენს გარე სამყაროს მიკროკოსმოსს და ამ დაწესებულებებში ის ადამიანები იმყოფებიან, რომლებიც იმავე საზოგადოებას წარმოადგენენ და მისთვის დამახასიათებელი კულტურის, ღირებულებების, ცრურწმენებისა და სტერეოტიპების მატარებლები არიან. როგორც წამების საკითხებზე ყოფილმა სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, საზოგადოების ინდიფერენტულობა ქალის დაქვემდებარებული სტატუსისადმი, ან უფრო მეტიც, საზოგადოების მიერ ასეთი სტატუსის მხარდაჭერა, დისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან და დამნაშავეების დაუსჯელობისა და მსხვერპლთა დაუცველობის სისტემურ პრობლემასთან ერთად, ისეთ პირობებს ქმნის, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდის იმის რისკს, რომ ქალები ფიზიკური და სულიერი ტანჯვის მსხვერპლი გახდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის, ციხეებში.²¹

საზოგადოების ამგვარი დამოკიდებულების მაგალითი ზოგიერთ ქვეყანაში, არის ის შემთხვევები, როდესაც ქალები პოლიციას მიმართავენ ოჯახური ძალადობის ნიადაგზე, ხოლო პოლიცია არანაირ ქმედებებს არ მიმართავს და ამ ქალებს სახლში უწყვეტ დაბრუნება. პოლიციის და ზოგადად, სამართალდამცავი სტრუქტურების ასეთი დამოკიდებულება იმითაა გამოწვეული, რომ საზოგადოებას ოჯახური ძალადობა ოჯახის შიდა პრობლემად მიაჩნია. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც

²¹ A/HRC/7/3, 2008 წლის 15 იანვარი, პარაგრაფი 29

გამოძიება ტარდება, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენას, ვინაიდან გამოძიების მექანიზმები არ არის ეფექტური ან სამართლიანი და საკმაოდ მძლავრად ფესვგადგმული ის აზრი, რომ ოჯახური ძალადობა ადამიანების პირადი საქმეა. ხშირად, ძალადობის მსხვერპლი რევიქტიმიზაციას განიცდის გამოძიების ხასიათისა და მეთოდების გამო.

საზოგადოებაში, სადაც ასეთი დამოკიდებულება არსებობს და სადაც მოძალადე დაუსჯელი რჩება, ხოლო ძალადობა კი ნორმად ითვლება, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც მინიმალური საზოგადოებრივი კონტროლია, ქალები კიდევ უფრო დაუცველები არიან არასათანადო მოპყრობისა და წამებისაგან, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობისაგან.

ბ. საკანონმდებლო კონტექსტი

რიგი კანონებისა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პატიმრობასთან, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს იმ რისკებზე, რომლებსაც ქალები ექვემდებარებიან. ასეთ კანონმდებლობას მიეკუთვნება: სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც შეიძლება დისკრიმინაციული იყოს ქალების მიმართ,²² ან რომელიც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სასამართლომ სათანადოდ გაითვალისწინოს ის გარემოებები და წინაპირობები, რომლებშიც ქალი აღმოჩნდა აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;²³ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ კანონმდებლობა, რომელიც სათანადოდ არ იცავს მსხვერპლს და ხშირად მის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას და მისთვის თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, რის გამოც ადამიანი კიდევ ერთხელ ხდება მსხვერპლი (რევიქტიმიზაცია ხდება); პენიტენციური დაწესებულებების მარეგულირებელი კანონმდებლობა და დებულებები, რომლებიც არ ითვალისწინებს ქალების გენდერ-სპეციფიურ საჭიროებებს; არალეგალურ მიგრანტებსა ან თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რომელიც ამ ადამიანების რუტინულ დაკავებას ითვალისწინებს და არ უზრუნველყოფს ქალების სპეციფიური საჭიროებებისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას; ასევე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანების მოთავსებასთან და მათ მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რომელიც ასევე შეიძლება არ ითვალისწინებდეს ქალების დაუცველობასა და მათ სპეციფიურ საჭიროებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ კანონმდებლობის შეცვლა არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ ქალები უკეთ იყონ დაცული არასათანადო მოპყრობისაგან, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი. საზოგადოებრივი აზრისა და დამოკიდებულების გარდაქმნა და დისკრიმინაციული კანონმდებლობის გადახედვა გრძელვადიანი პროცესია. ამას სჭირდება სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებული ძალისხმევა და ცვლილებებისა და საკანონმდებლო რეფორმების ლობირება, საზოგადოებრივი

²² სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა დიდ ზეგავლენას ახდენს იმ რისკებზე, რომლებიც ქალების წინაშე არსებობს: მაგალითად, როდესაც ქვეყნის რელიგიური წესების გარკვეული ინტერპრეტაცია ნორმად არის მიჩნეული, ან როდესაც გაუპატიურების დეფინიცია, რომელიც კანონმდებლობაში არსებობს, არ არის ნათელი და ამომწურვი, გაუპატიურებულ ქალებს პატიმრობას უსჯიან ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირის გამო (ასეთ აქტს "zina" ეწოდება). მაგალითისთვის იხილეთ UNODC-ს ანგარიში ავღანეთის შესახებ, ქალი პატიმრები და მათი სოციალური რეინტეგრაცია, თ. ატაბეი, 2007, გვ. 21

²³ იხილეთ ბანგკოკის წესები 57, 58, 60, 61, 62, 64 და 65.

შეგნების ამაღლებაზე მიმართული კამპანიების ჩატარება, ქალების მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის შესახებ, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ასეთი შემთხვევების შესახებ ანგარიშების მომზადება და ამ ფაქტების გაცხადების ხელშეწყობა, საზოგადოების, ოჯახების და ქალების ინფორმირება ძალადობის გრძელვადიანი უარყოფითი შედეგების და ზეგავლენის თაობაზე.

მონიტორინგის ორგანოებს ჰოლისტიკური მიდგომების დანერგვის და თავიანთი რესურსების გამოყენების გზით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ზემოხსენებული პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით. მონიტორინგის ორგანოებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი ქალების მონახულება და მათი მდგომარეობის შესწავლის საშუალება აქვთ. გარდა ამისა, მათ არსებული კანონმდებლობის ქალების მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება შეუძლიათ, რის საფუძველზეც მონიტორინგის ორგანოები რეკომენდაციებს შეიმუშავენ და მთავრობას წარუდგენენ მათ, რაც, საბოლოო ანგარიშში, კანონმდებლობის გადასინჯვას და იმ რისკების შემცირებას შეუწყობს ხელს, რომლებსაც ქალები ექვემდებარებიან.

2. გარკვეული პერიოდები, რომელთა განმავლობაში რისკი მატულობს

ა. პოლიციის მიერ დაკავება და პატიმრობა

ყველა დაკავებული და დაპატიმრებული პირი არასათანადო მოპყრობისა და წამების უფრო მაღალ რისკს ექვემდებარება პატიმრობის პირველ ეტაპზე. ეს ის პერიოდია, როდესაც უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ დაკავებული პირი ზეწოლას და დაშინებას დაექვემდებაროს აღიარების ან ინფორმაციის მიღების მიზნით. ამ პერიოდის განმავლობაში დაკავებული ქალები შეიძლება სექსუალური ძალადობის ან სხვა სახის ძალადობის მხვერპლი გახდნენ, რაც არაერთგზის მომხდარა და დოკუმენტირებული იქნა მათ შორის SPT-ს მიერ.²⁴

ზოგ საზოგადოებაში, სადაც ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი კონტაქტი ოჯახის წევრი მამაკაცების გარდა სხვა მამაკაცებთან უაღრესად შეზღუდულია, ქალის მიმართ დისკრიმინაციული კანონმდებლობისა და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულების გამო, ქალების დაკითხვა კაცების მიერ ამ ქალებში ძლიერი შიშის გრძნობას ბადებს და ისინი უაღრესად დაუცველად გრძნობენ თავს. ასეთი დაკითხვა ქალების მიერ სექსუალურ ძალადობის საფრთხედ აღიქმება, დამოუკიდებლად იმისა, ასეთი საფრთხე რეალურად არსებობს თუ არა. დაკავების შემდგომ პერიოდში ქალები უფრო დაუცველები არიან, ვიდრე მამაკაცები, რადგანაც ქალების უმეტესობას, რომლებიც მართლსაჯულების სისტემასთან ხვდებიან შეხებაში, უფრო დაბალი ეკონომიკური სტატუსი და განათლება გააჩნიათ, ვიდრე მამაკაცებს (ხშირად ქალები თავის მეუღლეებზე არიან დამოკიდებული) და არ არიან ინფორმირებულები მათი სამართლებრივი უფლებების თაობაზე. მრავალ ანგარიშშია ასახული ფაქტები იმის შესახებ, როდესაც წერა-კითხვის უცოდინარი და ღარიბი ქალები პოლიციის მიერ დაკავების შემთხვევაში დაშინებისა და იძულების ქვეშ

²⁴ იხილეთ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიში ჰონდურასში არსებული მდგომარეობის თაობაზე, CAT/OP/HND/1, 2010 წლის 10 თებერვალი, პარაგრაფი 55; წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიში ბრაზილიაში არსებული მდგომარეობის თაობაზე, CAT/OP/BRA/1, 2012 წლის 5 ივლისი, პარაგრაფი 80

ხელს აწერენ ისეთი ჩვენებების ან ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებს, რომელთა შინაარსი მათ არ ესმით.

წინა-სასამართლო პატიმრობის პირობებში იგივე რისკები არსებობს, რაც პოლიციის მიერ პირველადი დაკავების შემთხვევაში. ეს განსაკუთრებით ხშირია ისეთი სისტემების პირობებში, სადაც წინასასამართლო დაკავებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა იგივეა, რაც სამართალდამცავი სტრუქტურების დაკავების დაწესებულებებზე პასუხისმგებელი სტრუქტურა (მაგ. წინასწრი დაკავების დაწესებულებები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის და არა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში).

გარდა იმისა, რომ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის პირობებში ადამიანს წამებისა და არასათანადო მოპყრობის შიში გააჩნია, ზოგადად, ქალებისთვის ასეთ დაწესებულებებში მოკლე ვადითაც მოხვედრამ შეიძლება უაღრესად მძიმე ზეგავლენა მოხდინოს, რადგანაც მათ ჰყავთ ბავშვები და ხშირად ისინი ამ ბავშვების ერთადერთი მზრუნველები არიან. დედის მოკლე ვადითაც კი საპყრობილეში აღმოჩენამ შეიძლება ამ ბავშვებს უაღრესად მძიმე ტრავმა მიაყენოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რის გამოც დედაც ძლიერად იტანჯება.

მონიტორინგის ორგანოებმა „ბანგოკის წესების“ გათვალისწინებით²⁵ უნდა შეაფასონ დროებითი მოთავსებისა და პატიმრობის დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თუ არა ქალების დაცვა წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან და შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშაონ თუ ამ მხრივ მდგომარეობა არ არის სახარბიელო. კერძოდ, უნდა შეაფასდეს შემდეგი ასპექტები: თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსების, ამ დაწესებულებიდან გადაყვანის ან განთავისუფლების დროს პირის სამედიცინო შემოწმება დამოუკიდებელი ჯანდაცვის სპეციალისტის მიერ; იურიდიული დახმარების დროული მისაწვდომობა; ქალი ზედამხედველების არსებობა და მამაკაცი და ქალი პატიმრებისთვის განკუთვნილი ცალ-ცალკე საკნების არსებობა; გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის არსებობა, პატიმრობის დაწესებულებების რეგულარული მონიტორინგის არსებობა; არიან თუ არა წარმოდგენილი მონიტორინგის ჯგუფში ქალები და სხვა.²⁶

მნიშვნელოვანი სისტემური დამცავი მექანიზმი, რომელიც დაკავების და პატიმრობის პირობებში ქალების წინაშე არსებულ რისკებს შეამცირებდა და იმავდროულად მათი ბავშვების ჭეშმარიტ ინტერესებს გაითვალისწინებდა, არის პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების შეფარდება, რაც შესაბამისობაშია „ბანგოკის წესებთან“, კერძოდ 58-ე წესთან, რომლის შესაბამისად „შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, განრიდების ღონისძიებები, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის შეფარდების ნაცვლად გამოყენებული იქნას ალტერნატიული ზომები და სასჯელები“. ეს არის ერთერთი მაგალითი იმისა, რომ მონიტორინგის ორგანოებმა არა მხოლოდ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებზე გააკეთონ აქცენტი, არამედ შეიმუშაონ რეკომენდაციები სასამართლო ხელისუფლების მიერ პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით კანონმდებლობასა და პრაქტიკის შესახებ.

ბ. გადაყვანა

თავისუფლებაზეზღუდული პირები არასათანადო მოპყრობისა და წამების უფრო მაღალ რისკს ექვემდებარებიან, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს ისინი ერთი

²⁵ ბანგოკის წესები, წესი 56

²⁶ ბანგოკის წესები, წესი 25 (3)

დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყავთ, რადგანაც მოცემულ პერიოდში პრაქტიკულად არ არსებობს პატიმრებისადმი ცუდი მოპყრობისაგან დამცავი მექანიზმები და შესაბამისად, ისინი სრულიად დაუცველები არიან. ქალი პატიმრები ასეთ დროს სექსუალური ძალადობის მომატებული რისკის პირობებში აღმოჩნდებიან ხოლმე.²⁷

მონიტორინგის ორგანოებმა უნდა შეამოწმონ არსებობს თუ არა საპატიმროებს შორის ქალების გადაყვანის პროცესში ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მექანიზმები. ასეთ პრევენციულ ზომებს შორისაა: ქალი პატიმრების გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ქალი ზედამხედველების მიერ, ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე რამდენიმე ქალი მაინც უნდა იღებდეს მონაწილეობას ქალი პატიმრების გადაყვანაში; ელექტრონული მეთვალყურეობის კამერების დაყენება სატრანსპორტო საშუალებებში, კამერების გამოყენება მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს; გარდა ამისა უნდა არსებობდეს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

აღსანიშნავია, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვაზე, დამოუკიდებელი გამოძიებების ჩატარება, გასაჩივრების მექანიზმების არსებობა, მოძალადეების დასჯა, უაღრესად მნიშვნელოვანია თავისუფლებაზე ზღუდული პირების, მათ შორის ქალების არასათანადო მოპყრობისა და წამებისაგან დასაცავად. შესაბამისად, მონიტორინგის ორგანოებმა უნდა შეისწავლონ უტარდება თუ არა ტრენინგი იმ დაწესებულებების პერსონალს, სადაც ქალები იხდიან სასჯელს და ბანგოკის წესებით იხელმძღვანელონ²⁸ ნაკლოვანებების შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

3. გარკვეული პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც რისკის მომატებას უწყობს ხელს ან ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას იწვევს

ა. თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში პირთა მიღების პროცესში სათანადო პრევენციული მექანიზმებისა და შეფასების სისტემის არსებობა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თავისუფლებაზე ზღუდული პირებისათვის დაკავების შემდგომ ადვოკატსა და ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.²⁹ მსოფლიოში არსებულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ქალები განსაკუთრებით დაუცველი არიან, როდესაც მათი თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში განთავსება ხდება. ბევრი ქალი, რომელსაც მართლმსაჯულების სისტემასთან უწევს შეხება, წერა-კითხვის უცოდინარია ან საკმარისი განათლება არ გააჩნიათ, გარდა ამისა ისინი არ არიან ინფორმირებულები საკუთარი უფლებების თაობაზე. ბევრ ქვეყნებში თუ ქალი დაკავებული ან დაპატიმრებულია, იგი სტიგმის მსხვერპლი ხდება, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ასეთი ქალების მდგომარეობას. ქალების

²⁷ იხილეთ Amnesty International-ის ანგარიში მექსიკაში არსებული მდგომარეობის თაობაზე: ქალების წინააღმდეგ ძალადობა და მართლმსაჯულების მიუწვდომლობა, 2006 წლის ოქტომბერი, AMR 41/028/2006, გვ. 6-7

²⁸ ბანგოკის წესები, წესი 29-35

²⁹ პრინციპების კრებული, პრინციპი 16 (1).

უმეტესობა, რომლებიც ციხეებში ხვდება, დედები არიან და ოჯახის წევრებთან და ბავშვებთან განშორება უალრესად ნეგატიურად აისახება მათზე.

მონიტორინგის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ქალების ციხეში მიღების პროცედურას და შეაფასონ, თუ რა დახმარება უნდა გაეწიოთ ქალებს ამ პროცესში „ბანგოკოს წესების“ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელთა შესაბამისადაც ციხის ადმინისტრაციამ „უნდა უზრუნველყოს თავისუფლებაზე აღდგენილი ქალების კონტაქტი მათი ოჯახის წევრებთან, ადვოკატთან, მათ ასევე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ციხის წესებისა და რეჟიმის თაობაზე, ასევე ვის უნდა მიმართონ დახმარებისთვის თუ მათ ენობრივი ბარიერი აქვთ, ხოლო თუ ქალი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მისთვის მისაწვდომი უნდა იყოს საკონსულოს წარმომადგენლებთან კონტაქტი.³⁰

მონიტორინგის ორგანოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანების მოთავსების საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს პატიმართა რისკებისა და საჭიროებების განსაზღვრა ინდივიდუალური შეფასების მეშვეობით და შეამოწმონ ტარდება თუ არა გენდერ–სენსიტიური შეფასება ქალთა ციხეებში მიღებისას „ბანგოკოს წესების“ შესაბამისად³¹; რათა უზრუნველყოფილი იყოს თავისუფლება აღკვეთილი ქალების ინდივიდუალური და გენდერული საჭიროებების უზრუნველყოფა პატიმრობის პირობებში, რაც არსებითად შეამცირებს თავისუფლების აღკვეთის შედეგად ადამიანების ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას და ხელს შეუწყობს ამ ადამიანების სოციალურ რეინტეგრაციას.

ბ. სამედიცინო შემოწმებების ხასიათი და მოცულობა

პატიმრების პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების დროს სამედიცინო შემოწმების ჩატარება იმ პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, რომელიც სამართალდამცავი სტრუქტურების ან სხვა პირების მიერ არასათანადო მოპყრობისა და წამების შემთხვევების გამოვლენაზე, გამოძიებაზე და მათ დასჯაზეა მიმართული და რომელიც ასეთი მოპყრობის მსხვერპლისათვის მხარდაჭერის და დახმარების გაწევაზეა ორიენტირებული. როდესაც სექსუალური ძალადობის ან ძალადობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული ფაქტების თაობაზე წარდგენილი საჩივრების იგნორირება ხდება, იზრდება იმის ალბათობა, რომ სახელმწიფომ სათანადოდ ვერ გამოავლინოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები და შესაბამისად, ქალები არ იყონ დაცული ციხეებში ძალადობისგან.

მონიტორინგის ორგანოებმა უნდა დაადგინონ ქალების ციხეებში მიღების დროს ჩატარებული სამედიცინო შემოწმება მოიცავს თუ არა იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა ადგილი ქალის მიმართ სექსუალურ თუ სხვა სახის ძალადობას, როგორც ამას „ბანგოკოს წესები მოითხოვს“.³² მათ ასევე უნდა დაადგინონ არის თუ არა პენიტენციურ დაწესებულებაში ქალი ექიმი, რომელიც ასეთ შემოწმებას ატარებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ ამას თავისუფლება აღკვეთილი ქალი მოითხოვს³³ და იმ შემთხვევებში, თუ ქალი ექიმის მიერ ასეთი შემოწმების ჩატარება შეუძლებელია, მაშინ უნდა დადგინდეს შეიძლება თუ არა შემოწმებას ესწრებოდეს ზედამხედველი ქალი ან საპყრობილის პერსონალიდან რომელიმე ქალი.³⁴

³⁰ ბანგოკოს წესები, წესი 2

³¹ ბანგოკოს წესები, წესი 40 და 41

³² ბანგოკოს წესები, წესი 6 (ე)

³³ ბანგოკოს წესები, წესი 10 (2)

³⁴ ბანგოკოს წესები, წესი 10 (2)

„ბანგკოკის წესების“ მე-7 წესი განსაზღვრავს ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობებს იმ შემთხვევებში, როდესაც სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ თავისუფლება აღკვეთილი ქალი იმ საპყრობილეში, სადაც იგი მანამდე იყო განთავსებული სექსუალურ ძალადობას, გაუპატიურებას, არასათანადო მოპყრობას ან წამებას დაექვემდებარა.³⁵ მონიტორინგის ჯგუფებმა უნდა შეამოწმონ ასახულია თუ არა მოცემული წესის მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს არეგულირებს, ასევე ჩართულია თუ არა ეს წესები პერსონალისთვის განკუთვნილ სასწავლო მასალებში და ხორციელდება თუ არა ეს წესები პრაქტიკაში. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მიღების დროს სამედიცინო შემოწმების ჩატარება ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ქალების ჯანდაცვასთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასებისა და სამედიცინო პროგრამების შემუშავებისთვის ქალების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ქალების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა დაცულია მათი დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში. ამგვარად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის ორგანოებმა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ქალების მიღების დროს სამედიცინო შემოწმების პოლიტიკა და პრაქტიკა შეისწავლონ, განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილონ იმაზე, ხორციელდება თუ არა ქალის გენდერ-სპეციფიური ჯანდაცვის საჭიროებების გათვალისწინება, როგორც ამას „ბანგკოკის წესები“ მოითხოვს³⁶. მონიტორინგის ორგანოებმა ყოველივე ზემოხსენებულზე დაყრდნობით რეკომენდაციები უნდა შეიმუშაონ და საჭიროების შემთხვევაში, შეფასების მოცულობა გაზარდონ და ხარისხი გააუმჯობესონ.

საპყრობილეებში ქალების მოთავსების დროს სამედიცინო შემოწმების დროს სექსუალური ძალადობის ნიშნების დადგენა ან ქალის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრა არ უნდა იყოს აღრეული ქალწულობის დადგენასთან, რაც ზოგ ქვეყნებში სულ სხვა მიზნებში ხორციელდება. ქალწულობის დადგენის მიზნით შემოწმება ქალების მიმართ დისკრიმინაციის უაღრესად მძიმე ფორმაა და ასეთი შემოწმება ქალების მიმართ თავისუფლების აღკვეთის პირობებში ძალადობის სახით არის კვალიფიცირებული.³⁷ ასეთი შემოწმება უნდა იკრძალებოდეს.

იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი პრაქტიკა არსებობს, მონიტორინგის ჯგუფებმა ქალწულობის დადგენის მიზნით შემოწმებასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა უნდა შეისწავლონ და ასეთი პრაქტიკის კანონით აკრძალვა უნდა მოითხოვონ.

2011 წლის დეკემბერში კაიროს სასამართლომ დაადგინა, რომ სამხედრო საპყრობილეებში ქალი პატიმრების ქალწულობის დადგენის მიზნით იძულებითი შემოწმების პრაქტიკა უნდა აკრძალვას. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ტაჭირის მოედანზე სამოქალაქო პროტესტების შემდეგ დაკავებული ქალის სარჩელის განხილვის საფუძველზე მიიღო. ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების ინფორმაციით ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებში ეს პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა დასჯის ერთ ერთი ფორმის სახით.³⁸

³⁵ იხილეთ PRI-ს სახელმძღვანელო დირექტივები, ბანგკოკის წესები, დოკუმენტის პროექტი, გვ 41-42, დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.penalreform.org/publications/bangkok-rules-guidance-document-and-index-compliance>

³⁶ ბანგკოკის წესები, წესი 6

³⁷ ადამიანის უფლებათა საბჭო, მე-7 სესია, წამების, სასტიკი, არადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მანფრედ ნოვაკის ანგარიში, A/HRC/7/3, 2008 წლის 15 იანვარი, პარაგრაფი 34

³⁸ ეგვიპტის სასამართლო ქალწულობის შემოწმებას კრძალავს სამხედრო საპყრობილეებში, <http://www.bbc.co.uk/news/world-middle-east-16339398>

გ. ქალი და მამაკაცი პატიმრების განცალკევებით განთავსების პრინციპის დარღვევა

პატიმრებისადმი მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების შესაბამისად (SMR) თავისუფლებააღკვეთილი ქალებისთვის განკუთვნილი საკნები (ბლოკი) თავისუფლებააღკვეთილი მამაკაცებისთვის განკუთვნილი პატიმრობის ადგილებიდან გამოცალკევებული უნდა იყოს, რათა ქალები დაცული იყონ სექსუალური ძალადობისა და არასათანადო მოპყრობისაგან.³⁹ იმისთვის, რომ გოგონები დაცული იყონ უფროსი ქალების მხრიდან სექსუალური და სხვა სახის ძალადობისაგან, მათთვის განკუთვნილი საკნები განცალკევებული უნდა იყოს ქალების საცხოვრებელი საკნებისაგან.⁴⁰

ზოგ ქვეყნებში ქალ და მამაკაც პატიმრებს შორის კონტაქტების შეზღუდვის ტენდენცია ჩამოყალიბდა, რაც მკაცრ ზედამხედველობას ექვემდებარება. ასეთ პირობებში საპყრობილის ცხოვრება შეიძლება უფრო ნორმალური იყოს და პატიმრებს ციხეში არსებულ სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მიღების საშუალება ქონდეთ. აღსანიშნავია, რომ ეს ქალი პატიმრების თანხმობით უნდა მოხდეს და ციხის ადმინისტრაციამ მკაცრი ზედამხედველობა უნდა დაამყაროს ქალი პატიმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.⁴¹

ქვემოთ მოყვანილია ამონარიდები სხვადასხვა ქვეყნებში SPT-ს ვიზიტების შედეგების ამსახველი ანგარიშებიდან, სადაც ასახულია მსგავსი დარღვევები და ქალი პატიმრების მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტების ციხის პერსონალის მიერ იგნორირება, წაქეზება ან მათი ჩადენა თავად ციხის პერსონალის მიერ.

“ქვეკომიტეტმა გამოავლინა, რომ სან პედრო სულას საპყრობილეში ქალი და კაცი პატიმრები არ იყვნენ მოთავსებული ერთმანეთისგან განცალკევებით და ქალები ციხეში უმცირესობას წარმოადგენდნენ. ქვეკომიტეტმა აღნიშნა, რომ ქალ და მამაკაც პატიმრებს შორის მჭიდრო კონტაქტი არსებობდა და ქალების საკნებში მამაკაცები ადვილად შედიოდნენ. ქვეკომიტეტმა თავისი დამკვირვებლების მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ორ საპყრობილეში ზოგი ქალი პატიმარი მეძავად მუშაობდა.....ქალი პატიმრების ზედამხედველმა აღნიშნა, რომ ქალ პატიმრებს არ უნდოდათ კაცი პატიმრებისგან განცალკევება, რადგანაც ისინი ფულს აკეთებდნენ მამაკაც პატიმრებთან ვიზიტებით და მათთვის გარკვეული პროდუქტების მიყიდვის შედეგად. როდესაც ქვეკომიტეტმა ეს კოორდინატორი გამოკითხა, მან აღნიშნა, რომ ქალი პატიმრები მამაკაცი პატიმრების მხრიდან სექსუალურ ძალადობას არ განიცდიდნენ, რადგანაც უფროსი ზედამხედველი მკაცრად აკონტროლებდა წესრიგს. ქვეკომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგი ქალი პატიმარი დარიგებული იყო, თუ როგორ უნდა ეპასუხათ შეკითხვებზე და რომ ისინი თავს არიდებდნენ გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემას.”⁴²

“..... ქალების ბლოკი გამოყოფილი იყო მამაკაცების ბლოკისგან რკინის კარებით. ამ კართან გუშაგად მამაკაცი პატიმარი იდგა, რომელსაც უნიფორმა ეცვა. დელეგაციამ გამოავლინა, რომ პრაქტიკაში გუშაგი პატიმარი და სხვა მამაკაცები (მათ შორის დაცვის უფროსი) სრულიად უპრობლემოდ შედიოდნენ ქალების ბლოკში.”⁴³

³⁹ SMR, წესი 8 (ა)

⁴⁰ SMR, წესი 8 (დ)

⁴¹ CPT-ს სტანდარტები (2006), ამონარიდი მე-10 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (2000) 13], პარაგრაფი 24.

⁴² იხილეთ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიში ჰონდურასში არსებული მდგომარეობის თაობაზე, CAT/OP/HND/1, 2010 წლის 10 თებერვალი, პარაგრაფი 259

⁴³ იხილეთ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიში ბენინში არსებული მდგომარეობის თაობაზე, CAT/OP/BEN/1, 2011 წლის 15 მარტი, პარაგრაფი 185

მონიტორინგის ორგანოებმა უნდა შეამოწმონ არა მხოლოდ ის, ქალი და მამაკაცი პატიმრები განცალკევებულ ბლოკებში იმყოფებიან პატიმრობაში თუ არა, არამედ ასევე უნდა შეისწავლონ თუკი ბლოკები განცალკევებულია, რამდენად გაკონტროლებულია ქალ და მამაკაც პატიმრებს შორის კონტაქტები. მონიტორინგის ორგანოებმა ასევე უნდა შეაფასონ საპრობილის პერსონალი, მათ შორის ქალი პერსონალი ხომ არ ხუჭავს თვალს, ან პირიქით ხელს უწყობს ქალ და მამაკაც პატიმრებს შორის ისეთ კონტაქტებს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

დ. ზედამხედველობა მამაკაცი პერსონალის მიერ/გენდერული თვალსაზრისით შერეული პერსონალი

ქალები სექსუალური ძალადობის რისკს ექვემდებარებიან, თუ ზედამხედველობას მამაკაცი პერსონალი ახორციელებს და თუ მათ კონტაქტის შესაძლებლობა აქვთ ქალებთან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ იმ პერსონალს შორის, რომლებთანაც ქალ პატიმრებსა აქვთ კონტაქტი, უმეტესობა მამაკაცია. ხშირად ამ პერსონალს საშუალება აქვს უთვალთვალოს ქალ პატიმრებს, როდესაც ისინი საშხაპეში ან საპირფარეოში არიან, ან როდესაც მათ არ აცვიათ. ყველაზე უარეს შემთხვევაში, პერსონალი ქალი პატიმრებისგან მათთან სქესობრივი კავშირის დამყარებას ითხოვს გარკვეული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, ან ხშირად ქალი პატიმრები გაუპატიურებას ექვემდებარებიან. ქალები, რომლებიც სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ აცხადებენ, ხშირად არანაირ რეაგირებას არ იღებენ პერსონალისგან და შედეგად ციხის მამაკაცი პერსონალის მხრიდან შურისძიების მსხვერპლი ხდებიან. პატიმრებთან მოპრობის მინიმალური სტანდარტული წესები, იმის გათვალისწინებით, რომ ქალები სექსუალური ძალადობის წინაშე დაუცველი არიან, კრძალავს მამაკაცების მიერ ქალებისთვის განკუთვნილ საპრობილებებში რაიმე სახის ზედამხედველებას.⁴⁴

აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში ამ წესის დაცვა არ ხორციელდება, რაც ზოგჯერ იმითაა განპირობებული, რომ ციხეებში არ არის საკმარისი ქალი პერსონალი, ხოლო ზოგჯერ კი იმით, რომ ქალებს და მამაკაცებს დასაქმების ერთნაირი შესაძლებლობები უნდა შეექმნათ. ზოგ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ სქესის თვალსაზრისით შერეული პერსონალის არსებობა ხელს უწყობს ციხის პირობებში ცხოვრების ნორმალიზაციას. აღსანიშნავია, რომ ციხეებში შერეული პერსონალის არსებობამ ქვეყნების ძალიან მცირე რაოდენობაში იქონია ციხეებში „ნორმალიზაციის“ ეფექტი. ასეთი მიდგომის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად საკმარისი რაოდენობის პერსონალია ციხეში და რა კვალიფიკაცია გააჩნია მას. გარდა ამისა, აუცილებელია დაცვის მექანიზმების, საჩივრების კონფიდენციური წარდგენის ეფექტური მექანიზმის და დამოუკიდებელი შემოწმებების მექანიზმების არსებობა. ის, რაც ზოგ საზოგადოებებში „ნორმალურად“ მიიჩნევა არ არის ის სტანდარტი, რომელიც სასურველია რომ არსებობდეს (მაგალითად, კულტურა, სადაც გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაცია და ძალადობა პრევალირებს). იმ სისტემებში, სადაც საპრობილებებში ადამიანის უფლებების დარღვევა ფართოდ არის გავრცელებული, და სადაც ადამიანური და ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო პერსონალის კვალიფიკაცია და ტრენინგი არასაკმარისია, ასეთი პოლიტიკა ძალიან მაღალ რისკთანაა დაკავშირებული და პატიმრებისთვის ამას შეიძლება უაღრესად უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში, სადაც შერეული პერსონალის პოლიტიკა ტარდება, არაერთგზის ჰქონდა ადგილი სექსუალურ ძალადობას და გაუპატიურებას მამაკაცი პერსონალის მიერ.⁴⁵

⁴⁴ SMR, წესი 53

⁴⁵ იხილეთ „ალაბამაში ქალთა საპრობილებებში სექსუალური ძალადობის თვალსაზრისით არსებული მწვავე მდგომარეობა“, ელიზაბეთ ჩაკი, 2012 წლის 23 მაისი, http://usnews.msnbc.msn.com/_news/2012/05/23/11830574-frequent-and-severe-sexual-violence-alleged-at-womens-prison-in-alabama?lite; “მისჯილი აქვს გაუპატიურება - ამერიკის ციხეების

პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები (SMR) და „ბანგკოკის წესები“ ძალიან ნათელ მოთხოვნებს შეიცავს ამ საკითხთან დაკავშირებით და ეს წესები ერთმანეთს ავსებს. კერძოდ, ეს წესები არ გულისხმობს შერეული პერსონალის მუშაობას ქალებისთვის განკუთვნილ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. მონიტორინგის ორგანოები უნდა ინფორმირებული იყონ ამის თაობაზე და ეს ასპექტი გათვალისწინებული უნდა იყოს რისკ ფაქტორების შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. თუ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც ქალები იხდიან სასჯელს SMR-ის და „ბანგკოკის წესების“ მოთხოვნების მიუხედავად მამაკაცი პერსონალი მუშაობს, მონიტორინგის ორგანოებმა უნდა შეისწავლონ მუშაობს თუ არა ეს პერსონალი ისეთ თანამდებობებზე, რაც მათ მიერ ქალებზე პირდაპირი ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებას გულისხმობს, გააჩნია თუ არა ამ პერსონალს ქალებისთვის განკუთვნილ ისეთ პრივატულ ადგილებში თავისუფლად წვდომის შესაძლებლობა, როგორცაა საძინებლები და სხვა. გარდა ამისა, მონიტორინგის ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ქალებისთვის განკუთვნილ საპყრობილებებში უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც ქალი პატიმრების მიმართ ქალი ზედამხედველების მიერ არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის პრევენციაზე იქნება ორიენტირებული, რადგანაც ასეთ დარღვევებსაცა აქვს ხოლმე ადგილი.

მონიტორინგის ორგანოებმა ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ პერსონალის დაქირავებას და ტრენინგს, რომელიც ქალების დაწესებულებებში მუშაობს და ამ მიმართებით „ბანგკოკის წესების“ მოთხოვნები უნდა გაითვალისწინონ.⁴⁶ მონიტორინგის ორგანოებმა ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ თავისუფლებააღკვეთილი ქალებისთვის გასაჩივრების დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმის მისაწვდომობას.⁴⁷ მათ ასევე უნდა შეაფასონ იმ ქალებისთვის, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი ძალადობის მსხვერპლი არიან, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თუ არა სათანადო დაცვას, მხარდაჭერას და იურიდიულ თუ სხვა სახის დახმარებას, როგორც ამას „ბანგკოკის წესები“ მოითხოვს და ტარდება თუ არა მსგავსი საჩივრების შესწავლა დამოუკიდებელი სტრუქტურის მიერ.⁴⁸ გარდა ამისა შეფასების პროცესში შესწავლილი უნდა იყოს პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა.

ე. ჩხრეკის პოლიტიკა და პრაქტიკა

პირადი ჩხრეკა ყველა თავისუფლებააღკვეთილი ადამიანისთვის საკმაოდ მტკივნეული გამოცდილებაა, მაგრამ ქალების შემთხვევაში, ეს კიდევ უფრო მძიმეა თუ ეს ქალები გარკვეული გარემოს წარმომადგენლები არიან, ან თუ ისინი მანამდე სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარნენ. ყველა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ისეთ საზოგადოებებში, სადაც ქალს მამაკაცისადმი დაქვემდებარებული როლი აქვს და სადაც ქალის სექსუალურობა რეპრესირებულია და უარყოფილია, ჩხრეკა, თუ მას საწინააღმდეგო სქესის ადამიანი ატარებს, შეიძლება უალრესად ტრავმატული გამოცდილება იყოს.

გისოსებს მიღმა”, აილეთ უოლდმანი და რობინ ლევი, 2011 წლის 10 ნოემბერი, პუბლიკაცია მომზადებულია მოცემული ავტორების ნაშრომზე დაყრდნობით სათაურით „ამ ადგილის კედლებს მიღმა: ქალების საპყრობილებების შესახებ ამბავი (მოწმის ხმა)“, 2011 წელი, <http://www.thedailybeast.com/articles/2011/11/10/sentenced-to-rape-behind-bars-in-america.html>; ეს ყველაფერი ცნობილია, სექსუალური ძალადობა ამერიკის ციხეებში, Human Rights Watch (1996); კიმ შიაო ბიუკენენი, ”დაუსჯელობა: ქალთა საპყრობილებებში არსებული ძალადობა”, ჰარვარდის სამოქალაქო უფლებების დაცვის ბიბლიოთეკა, ტომი 42, გვ 45-87

⁴⁶ ბანგკოკის წესები, წესი 29-35

⁴⁷ SMR, წესი 36

⁴⁸ ბანგკოკის წესები, წესი 25 (1) და (2)

მონიტორინგის ორგანოებმა არა მხოლოდ უნდა დაადგინონ, არის თუ არა ერთმანეთისგან გაცალკევებული ქალი და მამაკაცი პატიმრებისთვის განკუთვნილი ბლოკები, არამედ ასევე უნდა შეისწავლონ პრაქტიკაში რამდენად კონტროლდება მათ შორის კონტაქტები. გარდა ამისა, უნდა შეფასდეს იმის ალბათობა, რომ პერსონალი, მათ შორის ქალები, ხომ არ ხუჭავენ თვალს ან ხელს უწყობენ ქალებსა და მამაკაცებს შორის კონტაქტებს, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ზოგი სისტემის პირობებში, სადაც მამაკაცი ზედამხედველები არიან ან სხვადასხვა სქესის პერსონალი მუშაობს ქალების საპრობილევებში, ქალ პატიმრებს მამაკაცი ზედამხედველები ჩხრევენ. ასეთი ჩხრევა შეიძლება გულისხმობდეს ხელის მოთათუნებას სხეულზე და პერსონალმა შეიძლება გამოიყენოს ეს შესაძლებლობა ქალის სხეულზე უხამსი შეხებისთვის და მათი სექსუალური თვალსაზრისით დამცირებისთვის. ასევე შესაძლებელია ჩხრევის დროს ადამიანს გახდა მოსთხოვონ ან სხეულის ინტიმური ნაწილების ჩხრევა ჩაატარონ.⁴⁹ ზოგ ქვეყნებში ქალებს ჩხრევის მიზნით რეგულარულად ამიშვლებენ მამაკაცი პერსონალის თანდასწრებით და ამ პროცესში, ხშირად, სხვადასხვა ფორმით ამცირებენ.

მაშინაც კი, როდესაც ჩხრევას ქალი პერსონალი ატარებს, ჩხრევის მიზნით ქალების გაშიშვლება და ინვაზიური ჩხრევა ქალებისთვის უაღრესად დამამცირებელია, თუ ეს რეგულარულად და დამამცირებელი გზით ტარდება და როდესაც ქალების ღირსებას არ სცემენ პატივს.

მონიტორინგის ორგანოებმა უნდა შეაფასონ რამდენად სრულდება „ბანკოკის წესების“ მოთხოვნები ამ უაღრესად სენსიტიურ სფეროში. „ბანკოკის წესების“ მე-19 წესის შესაბამისად ციხის ადმინისტრაციამ ეფექტური ზომები უნდა გაატაროს, რათა ჩხრევის პროცესში ქალის ღირსება იყოს დაცული. ამ წესის შესაბამისად ქალი პატიმრების ჩხრევა ”მხოლოდ ქალი პერსონალის მიერ უნდა ჩატარეს, რომელსაც შესაბამისი ტრენინგი აქვს გავლილი”.

მონიტორინგის ჯგუფებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ სხეულის ინვაზიური ჩხრევა ან საერთოდ არ უნდა ტარდებოდეს, ან გამონაკლის შემთხვევებში, ტარდებოდეს კანონის მოთხოვნების დაცვით, როდესაც საკითხის გამოძიების ყველა სხვა საშუალებაა ამოწურული. ასეთი ჩხრევის ჩატარების მიზნით, ხშირად, სამედიცინო პერსონალს იწვევენ. ზოგადად, ჯანდაცვის სფეროს პერსონალი არ უნდა იღებდეს მონაწილეობას პატიმრების ჩხრევაში, რადგანაც ეს ციხის უსაფრთხოების პროცედურის ნაწილია და ექიმების პასუხისმგებლობაში პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა შედის, ხოლო ასეთ პროცედურებში მონაწილეობის შდეგად ექიმების რეპუტაციაც კომპრომეტირებულია ხოლმე.⁵⁰ აღსანიშნავია, რომ, განსაკუთრებულ გარემოებებში, პატიმრის თხოვნით შეიძლება გამართლებული იყოს ექიმის მონაწილეობა სხეულის ინვაზიურ ჩხრევაში, რათა პატიმრისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა იყოს აღმოფხვრილი. ასეთ შემთხვევებში ჩხრევა შეიძლება ციხის ექიმის გარდა სხვა სამედიცინო სპეციალისტმა ჩაატაროს, პატიმრების სხეულის ჩხრევის შესახებ მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის

⁴⁹ ჩხრევა ტანსაცმლის გახდის მოთხოვნით გულისხმობს ნაწილობრივ ან მთლიან გაშიშვლებას, რათა ადამიანის ინტიმური ნაწილების ვიზუალური დათვალიერება განხორციელდეს. ინვაზიური ჩხრევა გულისხმობს გენიტალიების ან ანალურ შემოწმებას.

⁵⁰ იხილეთ სამედიცინო ეთიკის პრინციპები, ჯანდაცვის პერსონალის, კერძოდ კი ექიმების როლი თავისუფლებადაღკვეთილი პირების წამების, არასათანადო და სასტიკი მოპყრობის ან დასჯისგან დაცვის ხელშეწყობაში, დოკუმენტი მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 37/194, 1982 წლის 18 დეკემბერი, პრინციპი 3.

განცხადებაში ასახული მოთხოვნების შესაბამისად⁵¹. ასეთ შემთხვევებში, სხეულის ჩხრეკა არა ციხის ექიმმა უნდა ჩაატაროს, არამედ სხვა ექიმმა, რათა პატიმარი ქალები დაცული იყვნენ რაიმე ზიანის მიყენებისგან და იმავროულად არ იყოს კომპრომეტირებული ის ექიმი, რომელიც ციხეში მუშაობს და მისდამი პატიმრების ნდობა შენარჩუნდეს. გასათვალისწინებელია, რომ სხეულის ჩხრეკა უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება და არა სამედიცინო მიზნებით.⁵² ექიმმა, რომელიც ჩხრეკას ატარებს უნდა აუხსნას პატიმარს, რომ ამ პროცედურაზე არ ვრცელდება სამედიცინო საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა და რომ ამ ჩხრეკის შედეგები ადმინისტრაციას ეცნობება.

სხეულის ინვაზიური ჩხრეკა სამედიცინო განათლების მქონე პერსონალის მიერ უნდა ჩატარდეს და პერსონალი იმავე სქესის უნდა იყოს, რაც პატიმარი. გარდა ამისა, ეს პირი არ უნდა იყოს ციხის ჯანდაცვის განყოფილების წარმომადგენელი. ასევე იმ პირს, რომელიც ინვაზიურ ჩხრეკას ატარებს, შესაბამისი სამედიცინო განათლება უნდა გააჩნდეს რათა უსაფრთხოდ შეასრულოს ეს მანიპულაცია.⁵³

მონიტორინგის ორგანოებმა ასევე უნდა დააგინონ, ხორციელდება თუ არა სხეულის გაჩხრეკის მიზნით პატიმრების გაშიშვლებისა და ინვაზიური ჩხრეკის შემთხვევების აღრიცხვა ასეთი ჩხრეკის მიზეზების, შედეგების და ნებართვის მიღების შესახებ ინფორმაციის მითითებით.

ბანგკოკის წესების მე-20 წესის შესაბამისად საჭიროა სხეულის ჩხრეკის მიზნით პატიმრების გაშიშვლებისა და ინვაზიური ჩხრეკის ნაცვლად სკრინინგის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა, მაგალითად სკანერების გამოყენება, რათა მაქსიმალურად იყოს აღმოფხვრილი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის მიყენების შესაძლებლობა. მონიტორინგის ორგანოებმა რეკომენდაციების შემუშავების დროს ამ ასპექტთან დაკავშირებითაც უნდა მიაწოდონ რეკომენდაცია შესაბამის ადმინისტრაციებს.

ვ. სამართლო პატიმრობა/დისციპლინური სეგრეგაცია

არაერთგზის იქნა დოკუმენტირებული, რომ სამართლო პატიმრობას შეიძლება უაღრესად მავნე ფსიქოლოგიური, ზოგჯერ კი ფიზიოლოგიური შედეგი ჰქონდეს პატიმრისთვის.⁵⁴

⁵¹ პატიმრების სხეულის ჩხრეკის შესახებ მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის განცხადება, მიღებული მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის 45-ე შეხვედრაზე, ბუდაპეშტი, უნგრეთი, 1993 წლის ოქტომბერი, გადაისინჯა საბჭოს 170 შეხვედრაზე, დივონ-ლეს ბენი, საფრანგეთი, 2005 წლის მაისი, (<http://www.wma.net/e/policy/b5.htm>), რომელშიც ნათქვამია: "[...] ჩხრეკის მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა და/ან ციხეში ისეთი კონტრაბანდის შეტანის პრევენცია, როგორცაა იარაღი ან ნარკოტიკები. ჩხრეკა უსაფრთხოებისა და არა სამედიცინო მიზნებით ტარდება. მიუხედავად ამისა, სხეულის ჩხრეკა არ უნდა ჩატარდეს ისეთი პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი სამედიცინო განათლება. ეს არა-სამედიცინო დანიშნულების მანიპულაცია შეიძლება ჩაატაროს ექიმმა, რათა პატიმარი დაიცვას იმ ზიანისგან, რომელიც მას შეიძლება არაკვალიფიციური პირის მიერ ჩატარებულმა ჩხრეკამ მიაყენოს. ასეთ შემთხვევებში, ექიმმა პატიმარს ამის თაობაზე განმარტება უნდა მიაწოდოს. გარდა ამისა, ექიმმა ასევე უნდა განუმარტოს პატიმარს, რომ ამ პროცედურაზე არ ვრცელდება სამედიცინო საიდუმლოების შენახვის მოთხოვნა და რომ ამ ჩხრეკის შედეგები ადმინისტრაციას ეცნობება. თუ ჩხრეკას ადმინისტრაციის მიერ თხოვნით მიმართვის შემთხვევაში ექიმი ატარებს, ადმინისტრაცია ინფორმირებული უნდა იყოს, რომ პროცედურა ჰუმანური გზით უნდა ჩატარდეს. თუ ჩხრეკას ექიმი ატარებს, ეს არ უნდა იყოს იგივე ექიმი, რომელიც პატიმარს შემდგომში სამედიცინო მომსახურებას გაუწევს. ექიმის ვალდებულებაა პატიმრისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა და შესაბამისად, ექიმი არ უნდა იყოს კომპრომეტირებული იმის გამო, რომ მას საპრობილის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში უწევს მონაწილეობა [...]

⁵² პატიმრების სხეულის ჩხრეკის შესახებ მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის განცხადება, მიღებული მსოფლიო მედიკოსთა ასოციაციის 45 შეხვედრაზე, ბუდაპეშტი, უნგრეთი, 1993 წლის ოქტომბერი, გადაისინჯა საბჭოს 170 შეხვედრაზე, დივონ-ლეს ბენი, საფრანგეთი, 2005 წლის მაისი, (<http://www.wma.net/e/policy/b5.htm>)

⁵³ იქვე

⁵⁴ სტამბულის დეკლარაცია სამართლო პატიმრობის გამოყენებისა და მისი შედეგების შესახებ, მიღებული 2007 წლის 9 დეკემბერს ფსიქოლოგიური ტრავმების საერთაშორისო სიმპოზიუმზე, მოცემული დეკლარაცია თანდართულია წამების და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედურ ანგარიშზე, A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, გვ 23

სამართლო პატიმრობის გამოყენებისა და შედეგების შესახებ სტამბულის დეკლარაციაში ასახული რეკომენდაციის შესაბამისად "საპრობილემში პატიმრების განთავსება სამართლო საკნებში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი"⁵⁵ და აბსოლუტურად იკრძალებოდეს ფსიქიურად დაავადებული პატიმრების მიმართ.⁵⁶ პატიმრების მოპყრობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად რეკომენდებულია სასჯელის სახით სამართლო საკანში მოთავსების აკრძალვა, ან დასჯის ამ მეთოდის გამოყენების შეზღუდვა.⁵⁷ წამების წინააღმდეგ კომიტეტმა ცნო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პატიმრების სამართლო საკნებში მოთავსების უაღრესად მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები და გამოხატა შეშფოთება ამ მეთოდის გამოყენების გამო, მათ შორის ხშირად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის დაწესებულებებში, ისევე როგორც დისციპლინური სახდელის სახით.⁵⁸ ახლახან წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) და წამების საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე გამოხატეს თავიანთი შეშფოთება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.⁵⁹ სპეციალურმა მომხსენებელმა დეტალურად აღწერა ის გარემოებები, როდესაც სამართლო საკანში მოთავსება შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, მათ შორის "როდესაც ეს მეთოდი წინასწარი პატიმრობის დროს, დასჯის მიზნით, განუსაზღვრელი დროით ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ან ფსიქიურად დაავადებული პირების მიმართ".⁶⁰

ქალების შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალია იმის რისკი, რომ ციხეში მოთავსების პერიოდისთვის მათ უკვე გააჩნდეთ გარკვეული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ან რომ მათ ფსიქიატრიული პრობლემები და აშლილობები განუვითარდეთ საპრობილემში ყოფნის განმავლობაში. შესაბამისად, ქალები მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან და სამართლო საკანში სასჯელის მოხდის ან დასჯის სახით ამ მეთოდის გამოყენება მათზე მძიმე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას იქონიებს. ქვემოთ მაგალითის სახით მოყვანილია კანადის საპრობილემში მომხდარი გახმაურებული ინციდენტი.

2007 წელს 19 წლის პატიმარმა ქალმა, რომელსაც ფსიქიური აშლილობა ჰქონდა თვითმკვლელობა ჩაიდინა ონტარიოს ციხეში, მაშინ როდესაც მისი სამართლო საკნის კართან მდგარი ზედამხედველები უყურებდნენ ამას და ვიდეოფირზე იწერდნენ. მოცემულ პატიმარს მანამდე რამდენჯერმე ჰქონდა თვითდაზიანების მცდელობა და გუშაგებს ინსტრუქციები მიეცათ, რომ არ ჩარეულიყვნენ. მოცემულმა პატიმარმა მისჯილი ვადის ბოლო წელი სამართლო საკანში გაატარა, ხოლო მანამდე 17-ჯერ იყო გადაყვანილი ხუთი პროვინციის 9 სხვადასხვა საპრობილემში და არც ერთ მათგანში მისთვის სათანადო მკურნალობა არ იყო უზრუნველყოფილი. მოცემულ საქმეზე

⁵⁵ იქვე, გვ 24

⁵⁶ იქვე, გვ 25

⁵⁷ პატიმრების მოპყრობის ძირითადი პრინციპები, პრინციპი 7

⁵⁸ UN Doc/ A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, პარაგრაფი 80. ასევე იხილეთ UN Doc/A/66/2685, 2011 წლის აგვისტო, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში, ხუან ე. მენდესი, გვ 2.

⁵⁹ CPT-ს 21 ანგარიში, 2010 წლის 1 აგვისტო - 2011 წლის 31 ივლისი, (<http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-21.pdf>); წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში, 2001 წლის 5 აგვისტო, A/66/268, (<http://daccess-dds.ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/445/70/PDF/N1144570.pdf?OpenElement>)

⁶⁰ ადამიანის უფლებათა საბჭოს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში, 2011 წლის 5 აგვისტო, A/66/268, პარაგრაფი

მიმდინარეობდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ანგარიშის მომზადების პროცესში.⁶¹

სამართლო საკნებში ორსული ქალების, ასევე მეძუძური დედების ან იმ პატიმარი ქალების განთავსება, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ ციხეში, ზიანს აყენებს არა მხოლოდ ქალების ფსიქიკურ ჯანმრთელობას, არამედ ასევე მოქმედებს მათი ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რადგანაც ამ შემთხვევაში, ბავშვები იმავე სასჯელს ექვემდებარებიან, რასაც მათი დედები, მაგრამ ბავშვების შემთხვევაში ნეგატიური ფსიქოლოგიური ეფექტი კიდევ უფრო ხანგრძლივია. გარდა ამისა, შეიძლება სერიოზული ზიანი იქნას მიყენებული ორსული ქალებისა და იმ დედების ჯანმრთელობისთვის, რომლებსაც ჩვილები ჰყავთ. ამ რისკ ფაქტორების გათვალისწინებით მონიტორინგის ჯგუფებმა უნდა შეაფასონ, თუ რამდენად გამოიყენება დისციპლინური დასჯის მიზნებით ორსული ქალების და იმ დედების სამართლო საკნებში მოთავსება, ვისაც ჩვილი ბავშვები ჰყავთ და რეკომენდაციები უნდა შემუშავდეს ამ პრაქტიკის აკრძალვის მიზნით „ბანგოკის წესების“ 22-ე წესის შესაბამისად, რომელიც კრძალავს სამართლო საკნებში ამ კატეგორიის ქალების მოთავსებას. მონიტორინგის ჯგუფმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ მოცემული ზომის სასჯელის სახით გამოყენება კიდევ უფრო მიუღებელია, როდესაც იგი იმ შემთხვევებში გამოიყენება, თუ დისციპლინურ გადაცდომებს არ ჰქონია ადგილი და ამასთან დკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციები უნდა შეიმუშაოს.

გარდა ამისა, მონიტორინგის ორგანოებმა სტამბულის დეკლარაციისა და საერთაშორისო იურისპრუდენციაზე დაყრდნობით უნდა შეაფასონ, აქვს თუ არა ადგილი ფსიქიკური დაავადებების მქონე ან სუიციდისკენ და თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი ქალების მოთავსებას სამართლო საკნებში და რეკომენდაცია გასცენ ამ პრაქტიკის აკრძალვის თაობაზე (ასევე იხილეთ ნაწილი 4 (გ)).

ზ. შეკავების საშუალებების არათანაბარზომიერი და გაუმართლებელი გამოყენება

პატიმრების მიმართ მექანიკური შემზღვეველი საშუალებების გამოყენება კიდევ ერთი უაღრესად სენსიტიური საკითხია. ასეთი ზომების გამოყენება ნებისმიერი პატიმრისთვის უაღრესად დამამცირებელია, ხოლო თუ ასეთი შემზღვეველი საშუალებების გამოყენება დისპროპორციული ზომის სახით ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხორციელდება, ეს ნიშნავს, რომ პატიმრების მიმართ ღირსებით მოპყრობის მოთხოვნა არ სრულდება.⁶² SMR-ი მკაცრ წესებს ადგენს პატიმრების მიმართ ფიზიკური შეკავების საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.⁶³ მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ქვეყნებში ასეთი ფიზიკური შეზღვევის საშუალებების, მაგალითად ბორკილების გამოყენება ხდება ორსული ქალების გინეკოლოგიური შემოწმების ან მშობიარობის მიზნით საავადმყოფოში გადაყვანის დროს⁶⁴, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო სფეროს სპეციალისტები მშობიარობის დროს ბორკილების გამოყენების წინააღმდეგ გამოდიან.⁶⁵

⁶¹ იხილეთ ”ჩვენი პენიტენციური სისტემა არ იყო შექმნილი ქალებისთვის”, დონ მური, კარლტონის უნივერსიტეტის სამართლის განყოფილების ასოცირებული პროფესორი, ”ოტავას მოქალაქე”, 2012 წლის 20 ოქტომბერი, <http://www.ottawacitizen.com/opinion/prison+system+designed+women/7421624/story.html> და <http://www.cp24.com/news/ashley-smith-inquest-resumes-amid-legal-battles-1.1006497#ixzz2A7a3hLbH>

⁶² ICCPR-ის მოთხოვნა, მუხლი 10

⁶³ SMR, წესი 33 და 34

⁶⁴ მაგალითად, 2000 წლიდან მოყოლებული აშშ-ში 14 შტატში აკრძალულია ქალ პატიმრებზე ბორკილების დადება მშობიარობის პროცესში, მაგრამ სხვა შტატებში ამ პრაქტიკის დანერგვას ციხის ადმინისტრაციები ეწინააღმდეგებიან. (იხილეთ: <http://www.thecrimereport.org/archive/2011-08-chained-and-pregnant> and <http://ipsnews.net/news.asp?idnews=106119>); ასევე იხილეთ: “პარლამენტის ქვეკომიტეტმა არ მიიღო კანონპროექტი ორსულ ქალ პატიმრებზე ფიზიკური შეზღვევის საშუალებების გამოყენების აკრძალვის თაობაზე”, Associated Press, გამოქვეყნდა 9 თებერვალს: http://www.washingtonpost.com/local/va-house-subcommittee-rejects-bill-to-restrict-use-of-restraints-on-pregnant-inmates/2012/02/09/gIQA52UR1Q_story.html

⁶⁵ მაგალითად, ამერიკის მენ-გინეკოლოგთა კოლეჯმა და ამერიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაციამ დაგმო ორსულ პატიმრებზე ბორკილების დადებას პრაქტიკა და განაცხადა, რომ ეს საფრთხეს უქმნის ქალების ჯანმრთელობას და მწვავე ტკივილს და მძიმე ტრავმებს იწვევს. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრმა

CPT-მ განაცხადა, რომ “[...] პერიოდულად CPT-ს მონიტორინგის დროს ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც საპრობილემებში მყოფი ორსული ქალების გინეკოლოგიური შემოწმების და/ან მშობიარობის დროს მათ ბორკილებს ადებენ, ან სხვა ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენებით ლოგინზე ან სხვა ავეჯზე აბამენ. ასეთი მიდგომა სრულიად მიუღებელია და უნდა კვალიფიცირებული იყოს როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა. უნდა დაინერგოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა უფრო ჰუმანური საშუალებები”.⁶⁶

მონიტორინგის ჯგუფებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფაქტების მოძიებაზე ორიენტირებული ღონისძიებების და ვიზიტების ჩატარების დროს მათ შეისწავლონ აქვს თუ არა ადგილი ქალებზე, მათ შორის მშობიარე ან მელოგინე ქალებზე ბორკილების გამოყენების პრაქტიკას და ამ მიზნით „ბანგკოკის წესებით“ უნდა იხელმძღვანელონ, რომელიც კრძალავს ამ კატეგორიის ქალების მიმართ ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების გამოყენებას.⁶⁷

თ. გენდერული საჭიროებების გაუთვალისწინებლობა ჰიგიენური საშუალებებით მომარაგების პროცესში და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებები

ცუდი პირობები და არასათანადო მომსახურება, რასაც ციხეების გადატვირთულობა კიდევ უფრო ამწვავებს, უაღრესად უარყოფითად აისახება პატიმრების, მათ შორის ქალი პატიმრების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ვინაიდან წინამდებარე დოკუმენტში მხოლოდ ქალი პატიმრების მდგომარეობასა და საჭიროებებზეა ყურადღება გამახვილებული, რადგანაც გარკვეული ასპექტები ქალებზე ბევრად უფრო მწვავედ აისახება. მათ შორის განსაკუთრებით ორ ასპექტზე ღირს ყურადღების გამახვილება. ეს არის ქალების გენდერ-სპეციფიურ ჰიგიენასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ქალებს რეგულარულად ესაჭიროებათ წყალი და შხაპის მიღების შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებით იმ ქალებისთვისაა მნიშვნელოვანი, რომლებსაც მენსტრუაცია ან მენოპაუზა აქვთ, ორსულად არიან ან ბავშვები ჰყავთ ციხეში. ქალებისთვის ასევე აუცილებელია ჰიგიენური საშუალებები, რომლებიც უფასოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი და ქალებს არ უნდა უწევდეთ ამ საშუალებების თხოვნა და უხერხულ და დამცირებულ მდგომარეობაში ყოფნა.⁶⁸ CPT-ს მიაჩნია, რომ ასეთი ელემენტარული ჰიგიენური საშუალებების მიუწვდომლობა ღირსების შემლახველ მოპყრობად შეიძლება იყოს კვალიფიცირებული.⁶⁹

აღსანიშნავია, რომ უფრო ღარიბ ქვეყნებში ციხეებში მყოფი ქალებისა და ბავშვების ჰიგიენური საჭიროებები უგულვებელყოფილია. ასევე, ამ ქვეყნებში ხშირია ქალების

განაცხადა, რომ მშობიარობის პროცესში და მშობიარობის შემდგომ პერიოდში შეუზღუდავი მოძრაობის შესაძლებლობა კრიტიკული მნიშვნელობისაა. (იხილეთ: პენიტენციურ სისტემაში ქალებისა და გოგონების მიმართ ბორკილების გამოყენება, NCCD ცენტრი გოგონებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის, (http://www.nccdglobal.org/sites/default/files/publication_pdf/shackling.pdf). Amnesty International-მა თავის პუბლიკაციაში ”ეს არ არის ჩემი განაჩენის ნაწილი: თავისუფლებადღვეთილი ქალების უფლებების დარღვევა” ნორთვესტერნ უნივერსიტეტის ქალთა ჰოსპიტალის მეან-გინეკოლოგების მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ასახა, AI ინდექსი: AMR 51/01/99, Amnesty International, 1999 წლის მარტი.)

⁶⁶ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, CPT სტანდარტები, CPT/Inf/E (2002) 1-გადასინჯული გამოცემა. 2006, ამონარიდი მეათე ანგარიშიდან[CPT/Inf (2000) 13], პარაგრაფი 27.

⁶⁷ „ბანგკოკის წესები“, წესი 24

⁶⁸ ბანგკოკის წესები, წესი 5

⁶⁹ CPT სტანდარტები, 2006 წლის გამოცემა, ამონარიდი მეათე ანგარიშიდან, CPT/Inf (2000) 13, პარაგრაფი 31.

მიმართ დისკრიმინაცია. ასე მაგალითად, SPT-ს ბენინში ვიზიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

„დელეგაციამ პოლიციის დაკავების ცენტრში ვიზიტის დროს გამოავლინა, რომ საკანში მოთავსებული იყო ქალი თავისი 8 თვის ბავშვით, რომელიც სრულიად შიშველი იყო ... საკანში შარდის და ფეკალიების სუნი იდგა. ქალმა განმარტა, რომ საკანში არ იდგა არანაირი ჭურჭელი, რომელსაც იგი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროს გამოიყენებდა, ხოლო პოლიციამ განუცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში მას საპირფარეოში გაიყვანდნენ. მიუხედავად ამ დაპირებისა, იგი დიდი ხნის განმავლობაში ეძახდა პოლიციელებს, რომ საპირფარეოში უნდოდა გასვლა, მაგრამ ამოდ და ბოლოს მან და ბავშვმა საკნის კუთხეში მოახდინეს დეფეკაცია. ქალს არანაირი საშუალებები არ გააჩნდა, რომ საკანი გაეწმინდა. საკანი სავსე იყო ბუზებით და კოლოებით და ბავშვი ძალიან დაკბენილი იყო მწერების მიერ. დილით პერსონალმა მიაკითხა პატიმარს და საკნის გვერდით მდებარე საპირფარეოში გაიყვანა. დელეგაციამ ასევე მეორე საკანი დაათვალიერა (5მ x 4.4მ-ზე, სიმაღლე 2.7მ), სადაც 5 მამაკაცი იყო დაკავებული. ამ საკანში ონკანი, საპირფარეო და საშხაპე იყო“.⁷⁰

“საპრობილემი ოთხი ბლოკი იყო, სადაც პატიმრებს ეძინათ, მაგრამ დაახლოებით 60 ქალი, ბავშვები და ჩვილები, ასევე ერთი პატიმარი გოგონა გარეთ იწვა, რადგანაც ამ ბლოკებში ადგილი არ იყო.....ღია ცის ქვეშ პირობები უაღრესად ცუდი და არაჰიგიენური იყო და შეუფერებელი იყო განსაკუთრებით ჩვილებისა და ორსული ქალებისთვის”.⁷¹

მონიტორინგის ჯგუფებმა ყოველთვის უნდა შეამოწმონ დაკმაყოფილებულია თუ არა ქალების ჰიგიენასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საჭიროებები და ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ბავშვების ჰიგიენური და სანიტარული საჭიროებები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არიან თავიანთ დედებთან ერთად. მონიტორინგის ჯგუფებმა „ბანგოკის წესების“ მოთხოვნების გათვალისწინებით რეკომენდაციები უნდა მიაწოდონ შესაბამის სტრუქტურებს ზემოხსენებული კატეგორიის ქალებთან მიმართებაში თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ალტერნატიული სასჯელის შეფარდებაზე, რათა ეს ქალები უკეთ იყონ დაცული ისეთ პირობებში მოხვედრისაგან, რომლებიც მთელი რიგი ქვეყნების ციხეებშია და რომლებიც არასათანადო და ღირსების შემლახველი მოპყრობის სახით შეიძლება იყოს კვალიფიცირებული. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების ინტერესები, როგორც ამას „ბანგოკის წესები“ და ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს.⁷²

ციხეებში ქალების გენდერ-სპეციფიური ჯანმრთელობის უფლება, კერძოდ კი რეპროდუქციულ ან სქესობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები ხშირად ირღვევა. ასეთ დარღვევებს შორისაა ქალებისთვის ისეთი პრევენციული ჯანდაცვის მომსახურებების მიუწვდომლობა, რომლებიც მათი გენდერული სპეციფიკის გამო ქალებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია (მაგალითად, საშვილოსნოს ყელის ან ძუძუს კიბო). ასევე, ხშირად ქალებისთვის მიწვდომელია ისეთი მომსახურებები, როგორცაა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა, ნებაყოფლობითი ტესტირება, აივ/შიდსის მკურნალობა და მზრუნველობა. აღსანიშნავია, რომ საპრობილემი მყოფი ქალები განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან აივ/შიდსის და

⁷⁰ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტის ბენინში ვიზიტის თაობაზე ანგარიში, CAT/OP/BEN/1, 2011 წლის 15 მარტი, პარაგრაფი 114

⁷¹ იქვე, პარაგრაფი 185

⁷² „ბანგოკის წესები“, წესი 64

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თვალსაზრისით, რადგანაც საკმაოდ მაღალია ამ დაავადებების საპრობილემში შემენის რისკი⁷³ იმის გათვალისწინებით, რომ ქალები ხშირად საპრობილემებში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან, სექს მომსახურებებს სთავაზობენ ან ნარკოდამოკიდებულები არიან. აღსანიშნავია, რომ საპრობილემების პირობებში ასევე არაადექვატურია პრენატალური და პოსტნატალური სამედიცინო მომსახურების სერვისები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავად სამედიცინო შემოწმებაც, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება არაჰუმანური და ღირსების შემლახველი იყოს. მაგალითად, როდესაც პატიმარი ქალი ითხოვს, რომ იგი ქალმა ექიმმა გასინჯოს და უმკურნალოს, მაგრამ მას ამ თხოვნაზე გაუმართლებელი მიზეზით უარს ეუბნებიან. ასევე შეიძლება შელახული იქნას ქალის უფლება სამედიცინო შემოწმება, განსაკუთრებით კი სხეულის ინტიმური ნაწილების გასინჯვა, ჩატარდეს პრივატულ პირობებში და ღირსების შელახვის გარეშე, თუ ასეთ შემოწმებას უსაფრთხოების პერსონალი ესწრება (ხშირად ეს პერსონალი მამაკაცები არიან). ქალებისთვის, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი იყვნენ, ასეთი პრაქტიკა უაღრესად დიდი სტრესს და დამცირების განცდას იწვევს.

მონიტორინგის ორგანოებმა უნდა შეაფასონ არის თუ არა ქალი პატიმრებისთვის მისაწვდომი მათთვის საჭირო გენდერ-სპეციფიური სამედიცინო მომსახურებები, ან ზოგადად სამოქალაქო სექტორში არსებული ჯანდაცვის სერვისების ექვივალენტური სერვისები და რამდენად შესაბამისობაშია ამ მხრივ არსებული ვითარება „ბანგკოკის წესების“ მოთხოვნებთან.⁷⁴ მონიტორინგის ორგანოებმა ასევე უნდა შეისწავლონ, იმ შემთხვევებში თუ ქალი პატიმარი ითხოვს, რომ მას ქალმა ექიმმა ან ექთანმა გაუწიოს დახმარება, რამდენად სრულდება ასეთი თხოვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შექმნილი მდგომარეობის გამო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაა საჭირო. გარდა ამისა, უნდა შემოწმდეს იმ შემთხვევებში, როდესაც სამედიცინო დახმარებას მამაკაცი ექიმი უწევს, ესწრება თუ არა ამ პროცესს ქალი სამედიცინო მუშაკი.⁷⁵ მონიტორინგის ორგანოებმა ასევე უნდა დაადგინონ სრულდება თუ რა „ბანგკოკის წესების“ მე-11 წესის მოთხოვნები. მოცემული წესი კრძალავს არა-სამედიცინო პერსონალის დასწრებას სამედიცინო შემოწმებებზე, მაგრამ ასევე ადგენს, რომ თუ გამონაკლის შემთხვევებში აუცილებელია არა-სამედიცინო პერსონალის დასწრება, მაგალითად უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ან თავად პატიმარი ქალი ითხოვს ქალი ზედამხედველის დასწრებას, „ასეთი პერსონალი უნდა იყოს მდებდრობითი სქესის, ხოლო სამედიცინო შემოწმება ისეთი გზით უნდა ჩატარდეს, რომ დაცული იყოს პრივატულობის, კონფიდენციალურობისა და პატიმარი ქალის ღირსების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები“.⁷⁶

ი. ოჯახთან კონტაქტის არასათანადო უზრუნველყოფა

ძირითადი პრობლემა, რომელიც მრავალ პატიმარ ქალს აქვს იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილები მათი საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარეობს, რადგანაც, ზოგადად, ქალი პატიმრების რაოდენობა მცირეა და ასევე მცირეა ქალებისთვის განკუთვნილი ციხეების რაოდენობა. ეს ნიშნავს, რომ პატიმარი ქალების ოჯახებს პრობლემები ექმნებათ მათთან კონტაქტის შენარჩუნებაში. ოჯახის წევრებთან და საკუთარ შვილებთან კავშირების გაწყვეტა უაღრესად ძლიერი ტანჯვისა და სტრესის

⁷³ ქალები განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან აივ-ის ავადობის თვალსაზრისით. კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები ორჯერ უფრო მეტად ავადდებიან აივ ინფექციით სქესობრივი კონტაქტის შედეგად, ვიდრე მამაკაცები. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების არსებობა კიდევ უფრო ზრდის აივ-ით ინფიცირების რისკს (ქალები და აივ ინფექცია საპრობილის პირობებში, აივ/შიდის დანაყოფი, UNODC, გვ 3. www.unodc.org/unodc/en/drug_demand_hiv_aids.html)

⁷⁴ ბანგკოკის წესები, წესი 10 (1)

⁷⁵ ბანგკოკის წესები, წესი 10 (2)

⁷⁶ ბანგკოკის წესები, წესი 11

განცდას იწვევს პატიმარ ქალებში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მათი უმეტესობა ბავშვზე მთავარი მზრუნველია. ზოგ ქვეყნებში, სადაც პატიმრების კვება არასათანადოა და ოჯახის წევრები უზრუნველყოფენ საკვების მიწოდებას, ქალი პატიმრები უაღრესად არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როდესაც საპრობილევებში ნებადართულია მეუღლეებთან პაემანი, ქალ პატიმრებს ხშირად იგივე უფლებები არ გააჩნიათ, რაც მამაკაც პატიმრებს. პენიტენციური სისტემების უმეტესობაში ეს ერთერთი ის სფეროა, სადაც ქალი პატიმრების დისკრიმინაცია ხდება, რასაც უაღრესად უარყოფითი შედეგი აქვს ქალი პატიმრების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ქალების ასეთი არაპრივილეგირებული მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს, როდესაც დისციპლინური სასჯელის ერთერთი ზომა ოჯახთან კონტაქტების შეზღუდვაში მდგომარეობს.

„ბანგკოკის წესები“ ავალდებულებს ციხეების ადმინისტრაციას მაქსიმალური ძალისხმევა წარმართოს ქალების მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე ციხეებში, ან ისეთ დაწესებულებაში მოთავსებაზე, რომელიც იმ ადგილას მდებარეობს, სადაც პატიმარ ქალს დარჩენა უნდა ციხიდან გამოსვლის შემდეგ.⁷⁷ გარდა ამისა, „ბანგკოკის წესები“ ავალდებულებს ადმინისტრაციას, რომ მან ხელი შეუწყოს ქალი პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრებს შორის კონტაქტებს და უზრუნველყოს, რომ ქალ პატიმრებს იგივე უფლებები გააჩნდეთ მეუღლეებთან პაემნების თვალსაზრისით, როგორც მამაკაც პატიმრებს.⁷⁸ მონიტორინგის ჯგუფებმა უნდა შეაფასონ ციხეების ადმინისტრაცია ახორციელებს თუ არა შესაბამის ღონისძიებებს ამ მიმართულებით და რეკომენდაციები უნდა შეიმუშაონ იმასთან დაკავშირებით, რომ ქალი პატიმრები მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე ციხეებში მოთავსონ როგორც ამას „ბანგკოკის წესები“ მოითხოვს. მონიტორინგის ჯგუფებმა ასევე უნდა შეამოწმონ იმ შემთხვევებში, თუ ეს არ არის შესაძლებელი, ატარებს თუ არა ციხის ადმინისტრაცია ყველა საჭირო ზომას, რათა იმ პატიმარი ქალების მდგომარეობა იყოს კომპენსირებული, რომლებიც თავისი ოჯახებისგან და საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით მდებარე ციხეებში აღმოჩნდნენ. თუ ასეთი საკომპენსაციო ზომები არ ტარდება, მონიტორინგის ჯგუფებმა შესაბამისი რეკომენდაციები უნდა შეიმუშაონ ციხეების ადმინისტრაციებისთვის. ასეთ რეკომენდაციებს შორის შეიძლება იყოს: ადმინისტრაციის მიერ ტრანსპორტირებაში დახმარების გაწევა; თუ პატიმრებისთვის ტელეფონი მისაწვდომია, ადმინისტრაციამ შეიძლება ქალ პატიმრებს უფრო მეტი სატელეფონო ზარის უფლება მისცეს, რათა მათ უფრო მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეთ თავიანთ ოჯახებთან. გარდა ამისა, შესაძლებელია ოჯახის წევრებთან პაემნების ხანგრძლივობა გაიზარდოს.⁷⁹

მონიტორინგის ჯგუფებმა ასევე უნდა დაადგინონ, დისციპლინური სანქციების სახით გამოიყენება თუ არა ოჯახთან კონტაქტების აკრძალვა და რეკომენდაციები უნდა შეიმუშაონ „ბანგკოკის წესების“ მოთხოვნების გათვალისწინებით მოცემული ზომის კანონმდებლობით აკრძალვისა და ამ პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით.⁸⁰

კ. არასათანადო გადაწყვეტილებები საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი დედებისა და დამოკიდებული შვილების დაცალკევებასთან დაკავშირებით

ქვეყნების უმეტესობის კანონმდებლობის შესაბამისად პატიმარი ქალების შვილები გარკვეული ასაკის მიღწევამდე შეიძლება დედებთან დარჩნენ, მაგრამ სხვადასხვა

⁷⁷ ბანგკოკის წესები, წესი 4

⁷⁸ ბანგკოკის წესები, წესი 26-28

⁷⁹ იხილეთ PRI-ს სახელმძღვანელო დირექტივები, გაეროს სტანდარტული წესები ქალი პატიმრების მიმართ მოპყრობისა და ქალი სამართალდამრღვევების მიმართ არა-საპატიმრო სასჯელების თაობაზე, დოკუმენტის პროექტი, გვ 79 – 80. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.penalreform.org/publications/bangkok-rules-guidance-document-and-index-compliance>

⁸⁰ „ბანგკოკის წესები“, წესი 23

ქვეყანაში ის ასაკი, როდესაც ბავშვი ციხიდან გაყვანილი უნდა იქნას, სხვადასხვაა. ბავშვების დედისგან მოშორება და დაწესებულებიდან გაყვანა მათი ჭეშმარიტი ინტერესების და ციხის ფარგლებს გარეთ ალტერნატიული მზრუნველობის შესაძლებლობების შეფასების გარეშე შეიძლება უადრესად მძიმე შედეგებით დასრულდეს როგორც დედისთვის, ასევე ბავშვისთვის, რადგანაც ეს დედის ძლიერ ტანჯვას გამოიწვევს, ხოლო ბავშვისთვის შეიძლება ემოციური და ფიზიკური ზიანი იქნას მიყენებული და მისი განვითარება შეფერხდეს გრძელვადიან პერსპექტივაში. პირველად „ბანგოკის წესებით“ იქნა დადგენილი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ბავშვის ციხიდან გაყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისა და შეფასების პროცესზე ამახვილებს ყურადღებას, გარდა იმისა, რომ ციხეებში დედებთან მყოფი ბავშვებისადმი მოპყრობის წესებს განსაზღვრავს. ამ წესების შესაბამისად ბავშვების ციხიდან გაყვანის თაობაზე გადაწყვეტილება ყოველი ცალკეული შემთხვევის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე უნდა იქნას მიღებული და უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს თუ რა არის ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებში. გარდა ამისა, ბავშვის ციხიდან გაყვანამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ დაწესებულების გარეთ მასზე ზრუნვა დამაკმაყოფილებელი იქნება.⁸¹ SPT-მ ბრაზილიაში არსებული მდგომარეობის ამსახველ ანგარიშში ხაზი გაუსვა მოცემული თვალსაზრისით არსებულ გარკვეულ დარღვევებს და წესების მოთხოვნების შეუსრულებლობას:

“SPT-მ გამოავლინა, რომ ციხეებში ქალ პატიმრებს, რომლებსაც ბავშვები ჰყავდათ თან, ბავშვის 2 წლის ასაკს მიღწევის შემდეგ, დედებს ბავშვზე ზრუნვის უფლებას ართმევდნენ, ხოლო, ზოგ შემთხვევებში, კი ბავშვების გაშვილება ხდებოდა.

SPT-ს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ბავშვი დარჩება თუ არა დედასთან ერთად ციხეში, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით და ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე უნდა იყოს მიღებული.* SPT-ი ასევე თხოვნით მიმართავს პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურას განმარტებები მიაწოდოს მას ბავშვების გაშვილებასთან დაკავშირებით და ბავშვის მეურვეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების თაობაზე ამ კონკრეტულ სიტუაციებთან მიმართებაში.”⁸²

*„ბანგოკის წესები“, წესი 49 და 52

მონიტორინგის ჯგუფებმა უნდა შეისწავლონ საპყრობილეში ქალ პატიმრებთან მათი ბავშვების ყოფნასთან და ბავშვების ციხიდან გაყვანასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშაონ „ბანგოკის წესების“ 49-ე და 52-ე წესების მოთხოვნების გათვალისწინებით კანონმდებლობის გადახედვისა და პრაქტიკის გაუმჯობესების თაობაზე.

ლ. პატიმრობა დაცვის მიზნით

ზოგ ქვეყნებში, ქალების ციხეებში მოთავსება მათი გენდერული ძალადობისგან დაცვის მიზნებით ხორციელდება. ამ ქალებს შეიძლება მიეკუთვნებოდნენ გაუპატიურებული ქალები, რომლებიც ამ დანაშაულის ჩამდენის, ან მისი ნათესავის მხრიდან საფრთხეს ექვემდებარებიან, რადგანაც ისინი მოითხოვენ რომ ქალმა ჩვენება არ მისცეს დანაშაულის ჩამდენის წინააღმდეგ, ასევე ქალები, რომლებმაც ადათ-წესებით, ტრადიციებით ან რელიგიით დადგენილი მკაცრი წესები დაარღვიეს, რის გამოც შეიძლება ”ღირსების შებღალვისთვის” სიკვდილით დასჯის საფრთხის წინაშე იყვნენ. ზოგ ქვეყნებში,

⁸¹ „ბანგოკის წესები“, წესი 52

⁸² წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის ბრაზილიაში ვიზიტის შესახებ მომზადებული ანგარიში, CAT/OP/BRA/1, 2012 წლის 5 ივლისი, პარაგრაფები 120, 121

საპრობილემებში შეიძლება ტრეფიკინგის მსხვერპლები იყონ მოთავსებული მათი დაცვის მიზნით.

პრინციპში, საპრობილემების გამოყენება ამ ადამიანების დაცვის მიზნით არ არის ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზანშეწონილი გზა, რადგანაც მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლი გამოდის დასჯილი. გარდა ამისა, ეს არ არის პრობლემის გრძელვადიან პერსპექტივაში გადაწყვეტა, არამედ უფრო მოკლევადიან პრესპექტივაში რთულ პრობლემაზე რეაგირებაა. ზოგ ქვეყნებში ქალებს ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ტოვებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათი დაცვის მიზნით, მაგრამ ეს თავისთავად შეიძლება არასათანადო მოპყრობის ტოლფასი გახდეს. ასე მაგალითად, წამების საკითხებზე სპეციალურმა მომსახენებელმა იორდანიის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქალი შეიძლება საპრობილემში 14 წლის განმავლობაში აღმოჩნდეს თუ იმის რისკი არსებობს, რომ იგი ღირსების შელახვის მიზეზით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი გახდეს.⁸³

ასეთი ქალების დაცვის მიზნით საუკეთესო იქნებოდა მათი დროებითი მოთავსება თავშესაფრებში ან უსაფრთხო სახლებში, რომლებიც დამოუკიდებელი სტრუქტურების ან სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების დაქვემდებარებაშია, იმ პირობით, რომ ქალი თავად არის დაინტერესებული, რომ იგი ასეთი გზით იყოს დაცული.⁸⁴ სამწუხაროდ, ასეთ უსაფრთხო სახლებზე მოთხოვნა უფრო მაღალია, ვიდრე მათი რაოდენობა, რაც ნიშნავს, რომ ქალები დაკავების ცენტრების ან საპრობილემების ცალკე ბლოკებში არიან ხოლმე დროებით განთავსებული მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.⁸⁵

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგ ქვეყნებში ასეთი დაცვის ზომების გატარებაა საჭირო, ხოლო ქალები ამასთან დაკავშირებით შეიძლება დამატებითი რისკების წინაშე აღმოჩნდნენ, „ბანგოკის წესებში“ შემდეგი დებულებაა ასახული: „..... დროებითი დაცვის მექანიზმები, რომლებიც ქალის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებას გულისხმობს, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული და მხოლოდ მაშინ, თუ ქალი თავად მოითხოვს ამ ზომისადმი მიმართვას და მოცემული ზომის გატარება სასამართლო ან სხვა კომპეტენტური ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ მოხდება. ასეთი დამცავი ზომის გატარება არ უნდა განხორციელდეს ქალის ნებასურვილის გარეშე“.⁸⁶ სახელმწიფოებმა გრძელვადიან პერსპექტივაში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა შეიმუშაონ თანმიმდევრული სამართლებრივი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ზომები ქალების ძალადობისაგან დასაცავად და მათი რევიქტიმიზაციის თავიდან ასაცლებლად, რათა აღარ გახდეს საჭირო ასეთი ექსტრემალური ზომების გატარება.⁸⁷

იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი პრაქტიკა არსებობს, მონიტორინგის ორგანოებმა ასეთი ქალების იდენტიფიცირება უნდა მოახდინონ. ეს განსაკუთრებით იმ ქალებს შეეხებათ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. შესწავლილი უნდა იყოს ამ ქალების საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და მათი დაცვის სხვა ზომები უნდა იყოს დასახული არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ქალთა ჯუფებთან კავშირების დამყარების გზით, რომლებიც თავშესაფრების მართვას

⁸³ A/HRC/7/3, პარაგრაფი 43, წამების საკითხებზე სპეციალური მომსახენებლის ანგარიში იორდანიის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, 2006 წლის ივნისი, 2006, A/HRC/4/33/Add.3, პარაგრაფები 39 და 72

⁸⁴ ბანგოკის წესები, წესი 59

⁸⁵ მაგალითად, ავღანეთში საპრობილემებისა და დაკავების ცენტრების შესახებ კანონი შეიცავს მუხლს, რომლის შესაბამისადაც პატიმრობის ცენტრის ხელმძღვანელს იუსტიციის სამინისტროს ნებართვით და პირის წერილობითი თხოვნის საფუძველზე უფლება აქვს დროებითი თავშესაფარი და დაცვა შესთავაზოს ამ პირს დაკავების ცენტრში ან საპრობილემში, თუ ამ პირის სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა (მუხლი 53).

⁸⁶ ბანგოკის წესები, წესი 59

⁸⁷ ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია, მუხლი 4 (ვ)

ახორციელებენ. გარდა ამისა, რეკომენდაციები უნდა შემუშავდეს, რათა ცვლილებები იყოს შეტანილი კანონმდებლობაში, რომელიც დანაშაულის ჩამდენებს საშუალებას აძლევს თავი აარიდონ მართლმსაჯულებას, ხოლო მსხვერპლი კი იძულებულია საკუთრი თავის დაცვის მიზნით ასეთ ზომებს მიმართოს.

4. ქალების გარკვეული კატეგორიები, რომლებიც მომეტებულ რისკს ექვემდებარებიან.

ა. გოგონები

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი გოგონები ერთერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რაც მათი ასაკით, სქესით და მცირე რაოდენობითაა განპირობებული. მსოფლიოში არსებული პენიტენციური სისტემების უმეტესობაში არ არის სათანადო პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც გოგონების სპეციფიურ საჭიროებებზე, მათ შორის გოგონების დაცვაზე იქნებოდა ორიენტირებული. იმ შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი გოგონებისთვის განკუთვნილ ციხეებში შერეული სქესის პერსონალის პოლიტიკა ტარდება, ხშირად ადგილი აქვს მამაკაცი პერსონალის მიერ გოგონების მიმართ ძალადობას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დაუცველები არიან გოგონები ასეთ დაწესებულებებში.⁸⁸ გოგონები შეიძლება უფროსი ქალებისა და ქალი პერსონალის მხრიდან ძალადობასაც დაექვემდებარონ. „ბანგკოკის წესების“ 36-ე წესის შესაბამისად ციხის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია „გაატაროს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი გოგონების დაცვაზე მიმართული ღონისძიებები“.

მონიტორინგის ჯგუფებმა უნდა შეაფასონ არსებობს თუ არა ციხეებში გოგონებისადმი არასათანადო მოპყრობის და წამების პრევენციაზე მიმართული სპეციალური ზომები, მათ შორის: გოგონებისთვის განკუთვნილი საკნები სრულად განცალკევებული იყოს ბიჭების, მამაკაცებისა და ქალებისთვის განკუთვნილი საკნებისგან; გოგონების ზედამხედველობას ქალი პერსონალი უნდა ახორციელებდეს, რომელიც სიფრთხილით იქნება შერჩეული და სპეციალურ ტრეინინგს გაივლის; გოგონებზე ზედამხედველობა სათანადო უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სხვა პატიმრების ან პერსონალის მიერ მათ მიმართ ძალადობის პრევენცია და გოგონებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს საჩივრების წარდგენის კონფიდენციური და ეფექტური მექანიზმი.⁸⁹

ბ. ტრეფიკინგის მსხვერპლები და სექს მუშაკები

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლები და არ მოახდინონ მათი რევიქტიმიზაცია, ბევრ ქვეყანაში, ტრეფიკინგის მსხვერპლების თავისუფლების აღკვეთა ხდება პროსტიტუციის, ქვეყანაში უკანონო შესვლის, არალეგალურად ცხოვრების ან მუშაობის ბრალდებით.⁹⁰ ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები განსაკუთრებით დაუცველი არიან თავისუფლების აღკვეთის პირობებში იმის გამო, რომ ისინი სექს მუშაკები იყვნენ და მათ მიმართ ნეგატიური

⁸⁸ იხილეთ ”პატიმრობა და კონტროლი, თავისუფლების აღკვეთის პირობები ნიუ იორკის არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი გოგონებისთვის”, Human Rights Watch, ამერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირი, 2006 წლის სექტემბერი

⁸⁹ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ PRI-ს სახელმძღვანელო დოკუმენტი, „ბანგკოკის წესები“, დოკუმენტის პროექტი, გვ 105

⁹⁰ გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანებით, განსაკუთრებით კი ქალებითა და ბავშვების ტრეფიკინგის პრევენციის, აღმოფხვრისა და დასჯის პროტოკოლი - გაეროს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კონვენციის დამატებითი პროტოკოლი, 2000 წლის 15 ნოემბერი, იხილეთ: <http://www.unhcr.org/refworld/docid/4720706c0.html> [2012 წლის 20 ოქტომბერი] მუხლები 6-8 და 9 (ბ)

წინასწარგანწყობა არსებობს და ისინი ”უწესო” ქალებად არიან მიჩნეული. ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან კიდევ უფრო დაუცველი არიან როგორც ეროვნების, ასევე იმის გამო, რომ მათ არ იციან იმ ქვეყნის ენა, სადაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ამ ადამიანებს არ გააჩნიათ სოციალური ქსელი და მათ არ შეუძლიათ კომუნიკაცია, ისინი კიდევ უფრო მეტ იზოლაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე. გარდა ამისა მათთვის გაუგებარია შინაგანაწესი და კანონმდებლობა, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ფორმალური თუ არაფორმალური წესები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას და დაუცველს ხდის მათ ძალადობისა და იძულების, მათ შორის სექსუალური ძალადობის წინაშე.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის მიერ რეკომენდებული პრინციპები და სახელმძღვანელო დირექტივები ადამიანის უფლებათა დაცვისა და ტრეფიკინგის სფეროში მოითხოვს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლების კრიმინალიზაცია თავიდან იქნეს აცილებული.⁹¹ UNHCR-მა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ”ტრეფიკინგის პრევენცია არ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც პირის დაკავების მიზეზი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საქმის ინდივიდუალური გარემოებებითაა გამართლებული.....ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის ან პოტენციური მსხვერპლებისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის პატიმრობის ალტერნატიული ზომები უნდა იყოს გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი იყოს თავშესაფარი, უსაფრთხო სახლი ან სხვა დაცვის მექანიზმები”.⁹²

თუ ადამიანებით ტრეფიკინგის მსხვერპლების ან სექს მუშაკების დაკავება ხდება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მიზეზით მოხდა ეს, იმ სტრუქტურამ, რომელმაც დაკავება განახორციელა, უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა არასათანადო მოპყრობისა და წამებისგან, მათ შორის გენდერული ძალადობისაგან. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ იციან ის ენა, რომელზეც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანების უმეტესობა საუბრობს, თარჯიმნის მომსახურეობა პატიმრის მიღების დროს, ისევე როგორც პატიმრობის განმავლობაში, საჭიროების შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რათა მათ სრული ინფორმაცია მიიღონ პატიმრობის ადგილის, აქ არსებული წესების, მათი უფლებების, ვალდებულებების და გასაჩივრების პროცედურის თაობაზე იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით.

მონიტორინგის ორგანოებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ იმ ქალების იდენტიფიცირების თვალსაზრისით, რომლებიც რისკებს ექვემდებარებიან და მათ ეფექტური ზომები უნდა გაატარონ ამ ქალების დაცვისათვის. გარდა ამისა, მონიტორინგის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ რეკომენდაციები მთავრობებისთვის, რათა მათ გაეროს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კონვენციის დამატებითი პროტოკოლის - ადამიანებით, განსაკუთრებით კი ქალებითა და ბავშვებით ტრეფიკინგის პრევენციის, აღმოფხვრისა და დასჯის პროტოკოლის რატიფიცირება მოახდინონ და პრაქტიკაში განახორციელონ ამ პროტოკოლის მოთხოვნები, როგორც ამას „ბანგოკის წესები“ მოითხოვს.⁹³

⁹¹ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის მიერ რეკომენდებული პრინციპები და სახელმძღვანელო დირექტივები ადამიანის უფლებათა დაცვისა და ტრეფიკინგის სფეროში, E/2002/68/Add.1 (2002), მე-7 პრინციპი

⁹² UNHCR, სახელმძღვანელო დირექტივები თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებაში გამოყენებულ კრიტერიუმებსა და სტანდარტებთან დაკავშირებით და პატიმრობის ალტერნატივები, (2012), სახელმძღვანელო დირექტივა 9.4, გვ. 38.
<http://www.unhcr.org/505b10ee9.html>

⁹³ ბანგოკის წესები, წესი 66

გ. ქალები, რომლებიც ფსიქიატრიულ მკურნალობას საჭიროებენ

ქალები, რომლებიც ციხეებში ხვდებიან, მამაკაცებზე უფრო მეტად არიან მიდრეკილი ფსიქიკური პრობლემებისაკენ, რაც ხშირად ოჯახური ძალადობით, ან ფიზიკური და სექსუალური ძალადობითაა განპირობებული.⁹⁴ პატიმრობის პირობებში ქალებს ახალი პრობლემები უვითარდებათ ფსიქიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით ან უკვე არსებული აშლილობები უმწვავედებით. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც ქალების გენდერული სპეციფიკით განპირობებული საჭიროებები არ არის დაკმაყოფილებული და ოჯახებთან კავშირებია გაწყვეტილი. გარდა ამისა, საკმაოდ ხშირად ფსიქიკური აშლილობების მქონე ქალებს უფრო მკაცრი უსაფრთხოების რეჟიმის მქონე დაწესებულებებში ათავსებენ, ვიდრე ეს აუცილებელია, რადგანაც ისინი რისკის ჯგუფად განიხილებიან, რაც უაღრესად საზიანოა ამ ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის და მათი მდგომარეობა ხშირად უარესდება. ფსიქიკური აშლილობების მქონე ქალები უაღრესად დაუცველები არიან ძალადობისგან, რადგანაც მათ არა აქვთ საკუთარი თავის დაცვის უნარი, შეიძლება ვერ გააცნობიერონ, როდესაც გარკვეული ზღვარის გადაცდომასა აქვს ადგილი მათ მიმართ და გარდა ამისა, მათ საჩივრებს შეიძლება არ დაუჯერონ და სერიოზულად არ მიიღონ. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული ქალები იმავე რისკებს ექვემდებარებიან, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მონიტორინგის ჯგუფებმა უნდა შეისწავლონ ხორციელდება თუ არა პრაქტიკაში ბანგოკის წესების მოთხოვნები პატიმარი ქალების ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ შემცირდეს ის რისკები, რომლებსაც ფსიქიკური აშლილობების მქონე პატიმარი ქალები ექვემდებარებიან და მათი ფსიქიკური ჯანმრთელობა დაცულია. ამ მოთხოვნებს მიეკუთვნება ქალების საპყრობილეში მიღების დროს მათი ფსიქიკური ჯანდაცვის საჭიროებების შეფასება⁹⁵ და ინდივიდუალიზებული მკურნალობის შეთავაზება გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით.⁹⁶ ქალები, რომლებსაც ფსიქიკური აშლილობები დაუდგინდათ, ისეთ გარემოში უნდა იყონ მოთავსებული, რომელიც არ არის შემზღვეველი და ასეთი ქალები არასოდეს არ უნდა იყონ მოთავსებული სამართლო საკნებში.⁹⁷ ფსიქიკური აშლილობების მქონე ქალებისთვის სასჯელის შეფარდების დროს განხილული უნდა იყოს პატიმრობის ალტერნატიული სასჯელის შეფარდების შესაძლებლობა, რათა მათ სათანადო მკურნალობის გავლის საშუალება მიეცეთ სამოქალაქო სექტორში, ნაცვლად იმისა, რომ ისინი ციხეებში იყონ მოთავსებული, სადაც მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება საგრძნობლად გაუარესდეს.⁹⁸

⁹⁴ UNODC, სახელმძღვანელო ციხის მენეჯერებისთვის და პოლიტიკის მიმღები პირებისთვის ქალთა პატიმრობის საკითხებზე, გვ 10

⁹⁵ ბანგოკის წესები, წესი 6

⁹⁶ ბანგოკის წესები, წესი 12

⁹⁷ სტამბულის პროტოკოლი, ამონარიდი, გვერდი 24

⁹⁸ ფსიქიკური დაავადებების მქონე პირების დაცვის და ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესების პრინციპების შესაბამისად ასეთი დაავადებების მქონე პირებს უფლება აქვთ მიიღონ მკურნალობა და მზრუნველობა იმ საზოგადოებაში, სადაც ისინი ცხოვრობენ, თუკი ამის შესაძლებლობა არსებობს (პრინციპი 7.1)

დ. სხვა ჯგუფები, რომლებიც მომეტებულ რისკს ექვემდებარებიან

სხვა ქალები, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველები არიან არასათანადო მოპყრობისა და წამებისგან, არიან უნარშემზღვეული ქალები, ასევე ქალები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობები და ლესბოსელი ქალები.⁹⁹

V. რა შესაძლებლობები უნდა გააჩნდეთ მონიტორინგის ორგანოებს, რათა ამ საკითხების დარეგულირებას შეუწყონ ხელი

მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობის სწორი დაკომპლექტება, ჯგუფის წევრების პროფესიონალიზმი და გამოცდილება უაღრესად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით იდენტიფიცირებული იყოს ის რისკები, რომლებსაც ქალები ექვემდებარებიან, დაიგეგმოს პრობლემების გადაწყვეტის გზები და შესაბამისი ზომები გატარდეს ამ რისკების შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის ორგანოების დაკომპლექტება გენდერული ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით განხორციელდეს, რაც იმას გულისხმობს, რომ ჯგუფის შემადგენლობაში ქალები უნდა შედიოდნენ.¹⁰⁰ გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში ქალი ექიმები და ფსიქოლოგები უნდა მონაწილეობდნენ. ასევე, ჯგუფის შემადგენლობაში რამოდენიმე წევრი უნდა იყოს, რომლებსაც ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებში პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის და ტრავმატული გამოცდილებით გამოწვეული სხვა აშლილობების მართვის გამოცდილება გააჩნიათ. სასურველია, რომ ჯგუფის ყველა წევრს ტრენინგი ჰქონდეს გავლილი სექსუალური ძალადობისა და სხვა გენდერული თვალსაზრისით სპეციფიურ საკითხებზე. მონიტორინგის ჯგუფის წევრებს სწორი შეკითხვების დასმა უნდა შეეძლოთ გენდერულად-სენსიტიური გზით.

მონიტორინგის ჯგუფის ყველა წევრი კარგად უნდა იცნობდეს შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების დებულებებს, რომელთა მიზანია ქალების დაცვა ძალადობისა და დისკრიმინაციისგან და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალების გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში იმ ეთნიკური და რასობრივი უმცირესობების, მკვიდრი მოსახლეობის ან უცხო ქვეყნის წარმომადგენელი ქალები უნდა შედიოდნენ, რომლებიც საპყრობილის კონტინგენტს შორის მრავლად არიან წარმოდგენილი. ციხის კონტინგენტის ეს ჯგუფები განსაკუთრებულ პრობლემებს აწყდებიან და დაუცველები არიან და ამ პრობლემების გამოვლენა და გადაჭრა მათივე ჯგუფის წარმომადგენელს უფრო ეფექტურად შეუძლია. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში რამდენიმე წევრი უნდა შედიოდეს, რომლებსაც ბავშვის ფსიქოლოგიის სფეროში გააჩნიათ ცოდნა და გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ გოგონების ინტერვიუება გენდერულად სენსიტიური იქნება და ბავშვის ფსიქოლოგიის სპეციფიკა იქნება გათვალისწინებული, ხოლო რეკომენდაციები და რეაგირება პროფესიონალური.

⁹⁹ დეტალური ინფორმაციისთვის ამ ჯგუფებისადმი საპყრობილებში მოპყრობის თაობაზე და პატიმრობის ალტერნატივების შესახებ იხილეთ UNODC-ს სახელმძღვანელო სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრებზე და UNODC-ს სახელმძღვანელო ციხის მენეჯერებისთვის და პოლიტიკის მიმღები პირებისთვის ქალების პატიმრობის საკითხებზე (<http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Prisoners-with-special-needs.pdf>; <http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/women-and-imprisonment.pdf>)

¹⁰⁰ ბანგკოკის წესები, წესი 25 (3)

რეკომენდებული ლიტერატურა:

წინამდებარე ჩამონათვალი მოცემულ ნაშრომში ასახულ რამოდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს შეიცავს, მაგრამ იგი არ არის ამომწურავი.

PRI სახელმძღვანელო დოკუმენტი, გაეროს სტანდარტული წესები ქალი პატიმრებისადმი მოპყრობისა და ქალი სამართალდამრღვევების მიმართ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების თაობაზე („ბანგკოკის წესები“), და PRI-ს წესებთან შესაბამისობის ინდექსი, გაეროს წესები ქალი პატიმრებისადმი მოპყრობისა და ქალი სამართალდამრღვევების მიმართ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების თაობაზე (ბანგკოკის წესები), დოკუმენტის პროექტი (მოცემული ნაშრომის მომზადების ეტაპზე)

(<http://www.penalreform.org/publications/bangkok-rules-guidance-document-and-index-compliance>)

UNODC სახელმძღვანელო ქალების პატიმრობის საკითხებზე ციხის მენეჯერებისა და პოლიტიკის მიმღები პირებისათვის, თ. ატაბეი, ნიუ იორკი, 2008

<http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/women-and-imprisonment.pdf>

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, მანფრედ ნოვაკი, 2008 წლის 15 იანვარი A/HRC/73

ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრი, "სისხლის სამართლის რეფორმა და გენდერი", გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების სახელმძღვანელო პრინციპები, ბანგკოკის წესების რედაქტირებული ვერსია, მეგან ბასტიკი და კრისტინ ვალასეკი, ჟენევა, DCAF, OSCE/ ODIHR, UN-INSTRAW, 2008, გადაისინჯა 2012 წელს.

AdvocAid, გაეროს წესები ქალი სამართალდამრღვევებისადმი მოპყრობის თაობაზე, 2011.

<http://www.advocaidsl.com/wp-content/uploads/2011/03/AdvocAid-Bangkok-Rules-training-booklet-Nov-11.pdf>

Penal Reform International, კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ქალების მიმართ დისკრიმინაციის საკითხებზე შექმნილი გაეროს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი, 2012 წლის იანვარი

გაეროს ოფისი დანაშაულისა და ნარკოტიკების საკითხებზე და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ქალების ჯანმრთელობა საპყრობილეში: ღონისძიებების გატარების სახელმძღვანელო დირექტივები და მიმდინარე პოლიტიკისა და პრაქტიკის გადახედვასთან დაკავშირებული ზომების სახელმძღვანელო ჩამონათვალი, 2011, ბრენდა ვან დენ ბერგი და ალექს გათერერი, WHO-ს ევროპის რეგიონული ოფისი, ტომრის ატაბეი და ფაბიენ ჰარიგა, გაეროს ოფისი დანაშაულისა და ნარკოტიკების საკითხებზე http://www.euro.who.int/data/assets/pdf_file/0015/151053/e95760.pdf

კვაკერების გაეროს ოფისი ჟენევაში (QUNO), იხილეთ:

<http://www.quno.org/humanrights/women-in-prison/womenPrisonLinks.htm>

Penal Reform International (PRI)
60–62 Commercial Street
ლონდონი E1 6LT
გაერთიანებული სამეფო
www.penalreform.org

წამების პრევენციის ასოციაცია (APT)
PO Box 137
CH-1211 ვენევა 19
შვეიცარია
www.apr.ch

© Penal Reform International 2013
ISBN 978-1-909521-03-2

